კვირა, 27 აპრილი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 24 ყოველკვირეული ჟურნალი № 24

რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პრო. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა
ღია ყოველ დღე { დილის 9—1-დე. საღამოს 3—5½-დე.
კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

პირველი მაისისათვის.

პირველი მაისი ეს საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაულია.

პირველი მაისი საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის და გამარჯვების დღეა.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, რომელიც მწარედ გმინავს კაპიტალიზმის უღლის ქვეშ, პირველ მაისს თავის ნამდვილ და ყველა დღესასწაულზე უფრო ბრწყინვალე დღესასწაულად სთვლის.

34 წელიწადია, რაც საერთაშორისო მუშათა კლასი ამ დღეს დარაზმული გამოდის ქუჩაში პროტესტით კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ.

34 წელიწადია, რაც მთელი ქვეყნის მუშები, რამდენადაც შესაძლებელია და მოსახერხებელი არსებულ პირობებში პროტესტს და აღშფოთებას აცხადებს მუშათა ნაოფლარის მითვისების და მისი გაყვლეფის გამო.

პირველი მაისის მუშათა დღესასწაულად გამოცხადება მოხდა მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე—პარიზში 1889 წ. ამ კონგრესის დადგენილებით საერთაშორისო მუშათა კლასი პირველ მაისში უნდა გამოსულიყო ლოზუნგებით: ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის, ომი ომს; ამ დღესვე პროლეტარიატს უნდა მოეხდინა თავისი კლასობრივი პროლეტარული სოლიდარობის დემონსტრაცია.

და აი ამ ლოზუნგებით პროლეტარიატი მთელი ქვეყნისა წლიდან წლამდე გამოდის ქალაქის და სამრეწველო ცენტრების ქუჩებში და მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, იმპერიალისტური და საერთოდ ყოველგვარი ომის მოსპობას.

პირველ მაისს პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელები გადახედავენ ხოლმე მუშათა კლასის რაზმებს, ძალას და დაუპირდაპირებენ მას ბურჟუაზიის ძალას. ასე ხდებოდა და დღესაც ხდება ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მაგრამ ჩვენში, საბჭოთა კავშირში ნებითა ისტორიისა და მუშათა კლასისა მთავარი მოთხოვნილება პირველი მაისისა: 8 საათის სამუშაო დღე და გაერთიანება მუშებისა კაპიტალიზმის ტახტის დასანგრევად უკვე მომხდარი ფაქტია.

ჩვენში უკვე ჩამოგდებულია ძველი დახავსებული მთავრობა და მის ადგილი უჭირავს მუშურ გლეხურ ხელისუფლებას. 8 საათის სამუშაო დღეც განსაკუთრებული დეკრეტით უკვე დაკანონებულია და სისწორით ტარდება ცხოვრებაში.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა არ იდღესასწაულოს პირველი მაისი.

ამიტომაც არის, რომ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პროლეტარული რაზმები სრულიად თავისუფლად და უშიშრად დღესასწაულობენ პირველ მაისს და ლოზუნგათ აყენებენ რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლების და მუშათა დიკტატურის განმტკიცებას, გამაგრებას, სოციალისტური აღმშენებლობის განვითარებას და, რაც უმთავრესია—დაუნდობელ და შეუპოვარ ბრძოლას საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი პირველ მაისს ახდენს დემონსტრაციას კლასობრივ სოლიდარობისა არა თავისი მთავრობის წინაშე და მისი დასანახად, არა ეს მას არ სჭირია; ის ახდენს თავის სოლიდარობის, ერთიანობის დემონსტრაციას კაპიტალისტურ ევროპის პროლეტარიატთან და მას უწვდის ძმურ, მეგობრულ ხელს და ეუბნება: ვიბრძოლოთ ერთად დამყაყებული კაპიტალისტური წყობილების დასანგრევად და მის ნანგრევებზე სოციალიზმის ასაშენებლადო.

დღეს ევროპის ბურჟუაზია გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოწადინებულია როგორმე ძირი გამოუთხაროს საბჭოთა ხელისუფლებას. ამ მიზნისათვის იხარჯება მილიონები იმ ფულებიდან, რომელიც პროლეტარიატის ჯიბიდანაა ამოღებული და მსუნაგ კაპიტალისტების მიერ მითვისებული.

განსაკუთრებით საფრანგეთის რეაქციონური და არხი-ბურჟუაზიული მთავრობა პუანკარე ომის მეთაურობით ცდილობს ჩვენს დანგრევას და იურიდიულად ცნობის შეჩერებას.

ეს ცოტაა. საფრანგეთის კარნახით და დირექტივით ხდება მზადება ომისათვის, რომელიც ყოველ მიზეზის გარეშე საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის და მშრომელთა განადგურების ომათ გადაიქცევა.

ამავე დროს ინგლისში მუშათა მთავრობის წარმომადგენლებთან სწარმოებს მოლაპარაკება სადაო საკითხების შესახებ. ინგლისის ბანკირები აყენებენ მოთხოვნილებებს მეფის ვალების გადახდის და კერძო პირთა ქონების ანაზღაურების შესახებ. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოასწავებს ოქტომბრის რევოლიუციის დასამარებას. ამიტომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი პირველ მაისს მთელი ქვეყნის გასაგონად განაცხადებს:

— შორს ჩვენგან ინგლისის ბანკირების სისხლში გასვრილი ხელი!

და პირველ მაისს, რომ გამოვა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი დარაზმული ერთსულოვნებით და ბრძოლის წყურვილით. შემოსძახებს:

— ომი ომს.

გაუმარჯოს საერთაშორისო მშვიდობიანობას.

1-მაისს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მოიგონებს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც მას უხდებოდა პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება ცარიზმის დროს და მოახდენს თავის ძალების გადახედვას. დღეს რევოლიუციის მეშვიდე მაისობაში. აჰ, საქართველოში თავის ძალებს შორის ის იპოვის ახლ ნაკადსაც, რომელიც 25 აგვისტოდან მომდინარე-

ობს და რომელიც ძველ კომუნისტურ კადრების რიგებში იბრძოლებს კაპიტალიზმის დასამხობად საერთაშორისო მასშტაბით.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების განთავისუფლებს.

ძირს ინგლისის ბანკირები და პუანკარე!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს პროლეტარიატს თავისი ხელისუფლებით!

ლენინი

(22/VI—1870—21/I—1924.)

ბევრი დაიწერა, კიდევ მეტი ითქვა გლოვის დღეებში ლენინზე...

კიდევ ბევრი დაიწერება...

მაგრამ ყველაფერი ის, რაც ამ წუხილის წუთებში ითქვა და დაიწერა, ყველაფერი ეს მწვავე ტკივილებით აყუჩებულ გულის ნაკვნესია...

პირადი გრძნობის, შთაბეჭდილების გადმომცემია, საკუთარი ათვისების განცდის პრიზმაში გატარებული.

ყველაფერი ეს საკუთარი გრძნობების ნაპერწკლებია, ცრემლთა ნაცვლათ გულის სიღრმიდან გადმოდენილი.

ლენინზე, დიდ ლენინზე მრავალი და მრავალი ტომები დაიწერება. კიდევ მეტი ლენინიზმის შესწავლას და გამოკვლევას მოუნდება. ვინაიდან რაც არ უნდა მოხდეს, წარუშლელი და წარუხოცელია ცხოვრების, ისტორიის ზედაპირიდან დიდი ოქტომბერი...

პეტროგრადის მუშების აჯანყება, გიეური აქაფება რევოლიუციის ტალღებისა...

თავგანწირული ბრძოლა და ნგრევა, ნგრევა და ბრძოლა.

რაც არ უნდა მოხდეს მიუდგომელი ისტორიკოსი მომავალში, ათეულ წლების შემდეგ გაკვირვებით, განცვიფრებით დაუწყებს ცქერას ამ ატეხილ გაქანების ეპოქას.

დღეს კი ძნელია, ფრიად ძნელია შეფასება, აღნუსხვა იმისა, რაც მოხდა, რაც ხდება...

დღეს ძნელია სრულიად, ყოველმხრივ ასახვა იმ დიდი მოძრაობისა, რომლის დასაწყისი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდა ათიან წლებში იკარგება, ძნელია ვინაიდან ჯერ არ დასრულებულა ეს ეპოქა, ვინაიდან ჩვენ თვით ვტრიალებთ და თვით ვმოქმედებთ, თვით ვიხარშებით ამ დიდ ქვაბში.

მაგრამ, როგორც არ უნდა დატრიალდეს ჯარა, მომავალი ისტორიკოსი ახალი მოძრაობის, მშრომელი ხალხის განთავისუფლების მოძრაობის სათავეში ლენინს, უსათუოთ ლენინს დასახავს, ვინაიდან მის გარეშე წარმოუდგენელია თუნდაც უმცირესი „მნიშვნელობის მოძრაობა, თუნდაც უმცირესი მნიშვნელობის ეტაპი რუსეთის და შემდეგ მსოფლიოს ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებაში.

ჩვენ მის თანამედროვეთ, მის რაზმებში მებრძოლთ, რა თქმა უნდა გაგვიჭირდება, გაგვიძნელდება ობიექტიურად მიდგომა, ობიექტიურად შეფასება იმისა, რაც ჩვენ თვალ წინ ხდება, რაშიაც ჩვენ უშუალო მონაწილეობას ვიღებთ.

მით უმეტეს გაგვიძნელდება დიდი ეპოქის მეთაურის მისი ხელმძღვანელის და მზომკაფველის, შესაფერისად დაფასება.

ძალიან დიდი იყო ლენინი, იმისათვის რომ მის თანამედროვეებზე ესა თუ ის კვალი არ დაეჩინა მას.

მის მტრების ბანაკშიც კი დასტოვა მან საკმაოთ ძლიერი და ხანგრძლივი მოგონება.

დიდხანს... დიდხანს, სანამ უკანასკნელი მუშათა კლასის მოწინააღმდეგე იცოცხლებს, მათშიაც იცოცხლებს ლენინი, სიძულვილი მისდამი, და იმ ეპოქისადმი, რომელსაც მეთაურობდა ლენინი.

ვინაიდგან ასეთი მოწინააღმდეგე, როგორიც ლენინი არის იოლათ არ დაივიწყება.

ლენინი ჭკვიანი და წინდახედული სტრატეგი იყო.

ის მიუძღოდა წინ მუშათა კლასს, მოწინააღმდეგეთ მიმართ სიძულვილის ანთებული მაშხალებით, კონტრ-რევოლიუციონერთა რაზმებზე შესატევად.

ის ღრმათ არის აღბეჭდილი თვითეული მათგანის გონებაში.

ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლებია წინ.

„ჯერ კიდევ გრძელია გზა, ჯერ კიდევ დაუსრულებელია მუშაობა უდიდესი ისტორიაში“.

და ამ ბრძოლებში, ლენინიზმის ანთებული ლამპარი შიშის ზარს დასცემს მტერს კვლავინდებურად, ხოლო მშრომელთა ლეგიონებს თვითეული მისი მოგონება გაამხნევებს, გააკეთებს.

ჯერ კიდევ მწარე ტკივილებს იწვევს მშრომელის გულში ლენინის მოგონება, რადგან საკვანძო დღესაც ვერ შერიგებია, ვერ მიუღია მას ბუნების უცნაური განაჩენი, რომელმაც გამოგვტაცა გენია. მაგრამ, მაინც რა რიგ მძიმე და ძნელი არ უნდა იყოს ფიქრი ლენინზე, რა ზომ დიდ ტკივილებს არ უნდა იწვევდეს ის ჩვენს გულში, ჩვენ მშრომელები, აქაც დიდ კავშირში, იქაც სოციალისტურ ქვეყნების მიღმა ლენინის დაბადების და გარდაცვალებისდღეებში შევეკითხებით თავს:

„ხომ არ გადაუხვიეთ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას?“

ამ დღეებში ჩვენ ანგარიშს მივსცემთ დიდ მასწავლებელს და განვლილ გზას თვალს გადავავლებთ.

ვ. ბ.

მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე.

ბინის საკითხი მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც მუშათა კლასისათვის, ისე საერთოდ ქალაქის მცხოვრებთათვის.

ცნობილია, რომ ქალაქის საუკეთესო ნაწილები და საუკეთესო სახლები კაპიტალისტურ ქვეყნებში შეძლებულ პირთა ხელშია. მშრომელი ხალხი კი მუდამ ქალაქის განაპირა ადგილას სცხოვრობს და ისიც ცუდ სახლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ეს მეოთხე წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება გაგებს ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლების მთელი გულისყური მიქცეულია მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ჩვენში მუშა-მოსამსახურეებს გადაცემული აქვთ ძალიან მცირე ნაწილი თფილისის სახლებისა.

უმთავრესად სახლები იმყოფება სახლის მეპატრონეთა ხელში.

და მუშა-მოსამსახურენი განიცდიან ბინის კრიზისს.

ჯერ არსებობდა საბინაო განყოფილება, რომელმაც ვერ გაართვა თავი ბინის საკითხს, შემდეგ მრავალი რეორგანიზაცია—გადაკეთების პროცესში დაიბადა საბინაო კოოპერაცია, რომლის მიზანია ბინების გამრავლება—და მუშა-მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოჩენა, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ვერც საბინაო კოოპერაცია და ვერც რომელიმე სხვა ამ სახის ორგანიზაცია ვერ აღწევს მიზანს ბინის საკითხის მოწესრიგების სფეროში.

ამ ჟამად ქ. თფილისში მოქმედობს აღმასკომის დადგენილება ბინის ქირის შესახებ. ამ ნიხრის მიხედვით ქალაქი დაყოფილია ცენტრად და განაპირა კუთხეებად, ხოლო მუშა-მოსამსახურენი რამოდენიმე კატეგორიად იმის და მიხედვით, თუ რამდენს იღებს ხელფასს.

გარდა იმ ოთახებისა, რომელიც დაკავებული აქვთ მუშა-მოსამსახურეთ — პროფკავშირის წევრთ და უმუშევრებს, სახლის პატრონებს უფლება აქვთ გააქირაონ სხვებზე კერძო შეთანხმებით.

და აი ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების პროცესში აღმოჩნდა მრავალი ნაკლი.

მართალია ამ დადგენილების შემდეგ გაჩნდა თავისუფალი ოთახები, მაგრამ მუშა-მოსამსახურე ტყუილად იფიქრებს ოთახის შოვნას. ის მას ვერ იშოვის.

თავისუფალი ოთახის შოვნა შეუძლია მხოლოდ სპეკულიანტს, ვაჭარს, ან მდიდარს, ხოლო ჯამაგირის შემყურე ადამიანი ვერ იოცნებებს ბინის შოვნაზე, ან უვარგისი ბინის გამოცვლაზე. ერთი ოთახი ფასობს 30—50 მან., მთელი ბინა კი (ორი-სამი ოთახი) 7—8 ჩერვონეცი.

აღნიშნული დადგენილება აღმასკომისა უპირატესობაში აყენებს იმ პირთ, ვისაც ამ დადგენილების გამოცხადებამდე სათანადო ბინები ჰქონდათ, მაგრამ მეორეს მხრივ, ძალიან უხერხულ და პირდაპირ გაშოფვალ მდგომარეობაში აყენებს იმათ, ვისაც დღეს ბინა არ მოეპოება, ან და სრულიად უვარგის ბინაში ცხოვრობს.

ამიერიდან კერძო შეთანხმების გარეშე ვერც ერთი მუშა-მოსამსახურე ბინას ვერ იშოვის,

ხოლო ის ბინები, რომელიც მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებიდან მუშებს ეძლევათ, სრულიათ არ არის საკმარისი.

აი ასეთ გამოუალ და საშინელ მდგომარეობაში იმყოფება დღეს უბინაო მუშა მოსამსახურე და საერთოდ ხელმოკლე კაცი.

ვინაიდან საბჭოთა მუშა-მოსამსახურენი ძალიან მცირე ქირას იხდიან,, სახლის პატრონი ცდილობს ფართოდ ისარგებლოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებით და ტყავს აძრობს იმათ, ვისაც ხელში ჩაიგდებს და ოთახს მიაქირავებს.

დღემდე ესა თუ ის მოქალაქე ურიგდებოდა სახლის პატრონს და აძლევდა დიდ ქირას,

შემდეგ კი, როცა დაბინავდებოდა, უარს ეუბნებოდა დათქმულ ქირაზე და წინ დაუყენებდა სამსახურის მოწმობას. დღეს ეს ხერხი ვერ სჭრის სახლის პატრონებთან. თუ წინასწარ არ მიეცი 4—6 თვისა, ხშირად მეტის, ისე სახლში არ შეგიშვებს, თან უსათუოდ ხელშეკრულებას გადებიებს ამდენი და ამდენი უნდა გადამიხადოო.

ეს მდგომარეობა მეტად არანორმალურია. ბინის საკითხი მეტად გართულებულია და ვერავითარი ტარიფიკაცია, ბინის ქირის გადადება საბჭოთა მოსამსახურეების ხარჯზე, ვერც ნორმის შემცირება საქმეს ვერ შველის. ტყუილი იმედებია, რომ სახლის პატრონები სახლებს შეაკეთებენო.

არავითარ შეკეთებას ადგილი არ აქვს. რამდენიც არ უნდა მოუმატოთ კაპეიკობით, სახლის პატრონები სახლებს მაინც არ შეაკეთებენ.

მართალია დღეს აქა იქ შეხვდებით „კაპიტალურ რემონტს", მაგრამ ეს არ არის რემონტი საზოგადოებრივად სასარგებლო. ეს არის ბინის კრიზისის გამაღრმავებელი რემონტი.

დღეს ხშირად სახლის პატრონი ანგრევს 8—12 ოთახიან სახლს და .იმის მასალიდან აშენებს 4—5 ოთახიან სახლს.

ამას იმიტომ შვრება, რომ გასაქირავებელი ოთახი არ ექნეს და თვითონ კი არხეინად იცხოვროს, თან თავისი სახლი დაზღვევოს მუნიციპალიზაციისაგან,—პატარა სახლს ხომ არ ჩამომართმევენო.

ასეთ „რემონტს" დღეს მეტად ხშირად აქვს ადგილი ქალაქში. ეს კი, როგორც ავღნიშნეთ ბინის კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებს და უბინაოთა რიცხვს ამრავლებს. ქალაქიც ზარალდება.

ამ მოვლენას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის უძრავ სამმართველოს განყოფილებისაგან.

ხოლო საერთოდ საბინაო პოლიტიკა უსათუოდ გადახედული უნდა იქნას; საჭიროა ისეთი ღონისძიებათა გამონახვა, რომ უბინაო მუშა-მოსამსახურეთ გაჟადილდეს ბინის შოვნა და იმათაც შეადარონ თავი აღმასკომის მიერ დაწესებულ კატეგორიებს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სახლების შეკეთების საქმესაც. შეკეთება არ უნდა გულისხმობდეს ოთახების რიცხვის ხელოვნურად შემცირებას და მით ბინის კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას.

შინაური.

კიდევ ერთი განცხადების გამო.

ჩვენი ჟურნალის დღევანდელ № ში მოთავსებულია განცხადება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის წევრებისა. ეს ფრიად ს ყურადღებო განცხადება არის. გასული წლის აგვისტოს შემდეგ ჩვენ რიგებს მრავალი ახალი ძალები შემოემატა და მათ შორის ახალგაზრდა მარქსისტთა დიდი უმრავლესობაც დადგა პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ. **მაგრამ უკანასკნელ ხანამდის** სღუმდა ახალგაზრდა მარქსისტთა ყოფილი ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი. სდუმდა მეთაურები. მათ ვერ გაეგებინათ ჯერ კიდევ საესებით, კავშირის გაწყვეტა მსოფლმხედველობასთან, რომელიც მე-2-რე ინტერნაციონალის მეთაურობით აბნევს, თვალებს უხვევს მუშათა კლასს და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით ასუსტებს პროლეტარიატის ძალას. ვერ გაეწყვიტათ კავშირი მათთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბევრი მათგანი უკვე კარგა ხანია დარწმუნებული იყო იმაში, რომ მუშათა კლასის გზა, სწორედ ის არის, რომელიც 25 აგვისტოს გაიზიარა საქართველოს შეგნებულმა მუშებმა და შემდეგ რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამაც.

დღეს, როგორც ეტყობა, ბოლო მოეღო ყოყმანს. ახალგაზრდა მარქსისტების თითქმის მთელ ცეკა მივიდა რევოლიუციონურ ახალგაზრდობასთან. მივიდა იქ, სადაც არის მისი ადგილი, სადაც უნდა იყოს გადამჭრელი ბრძოლების დროს სოციალისტური, რევოლიუციონური ახალგაზრდობა:

დღეს ეს ახალგაზრდობაც, ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების აქტიური ხელმძღვანელები ყველას გასაგონათ აცხადებენ, აღიარებენ იმას, რასაც ჩვენ თავიდანვე ვამბობდით: ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები მარქსიზმის შემსწავლელ ჯგუფებიდგან პოლიტიკურ მებრძოლ ორგანიზაციად გარდაიქცა, მენშევიზმის იდეიათა და გეგმების ერთგულ გამტარებლათ. მისი არსებობა ზიანს მოუტანს მუშათა კლასს. ამიტომ უნდა დაიშალოს ის.

ჩვენმა ახალგაზრდობამ დაშალა კიდეც ეს ორგანიზაციები, სრულიად საქართველოს ყ. ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობაზე გადასწყდა ამ ორგანიზაციების ბედი.

მისი ყოფილი ხელმძღვანელები ვერ ურიგდებოდენ ამას. მათ სურვილი ჰქონდათ „კულტურული" ორგანიზაციები შეენარჩუნებიათ. დღევანდელი განცხადება ამტკიცებს, რომ მათ შეუგნიათ, მიუღიათ ის გზა, რომელსაც გამოფხიზლებული ახალგაზრდობა დაადგა.

„ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ სიბოლოოთ ვდგებით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ.

ვაცხადებთ ყველას გასაგონათ, რომ ვდგებით რა საბჭოთა ხელისუფლების აღიარების ნიადაგზე, ხელს შეუწყობთ მის საქმეს, მიმართულს კაცობრიობის უმაღლეს იდეალთა განხორციელებისაკენ.— სწერენ განცხადებაში.

ჩვენ მივესალმებით მათ მისვლას პროლეტარიატის დროშასთან. დათა ლომთაძის, დათა ყიასაშვილის, ალიოშა კალანდაძის, მიხა ჩაჩუას და სევერიან ელიბერიძის განცხადებას ჩვენ უჯერით, რადგან ის არის თქმული წრფელი რევოლიუციონური ახალგაზრდობის მიერ.

სალამი მათ.

ახალგაზრდა მარქსისტების განცხადება.

უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩამომშორებული ვართ პოლიტიკურ ცხოვრებას და პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამ დროის განმავლობაში, როგორც საქართველოს, აგრეთვე საერთაშორისო ფარგლებში ადგილი ქონდა მრავალ მოვლენას, რომლებმაც **საგრძნობლათ გამოსცვალეს პოლიტიკურ ძალათა ურთიერთობა.** საესებით ახალი ამოცანები დაუსახეს მომდინარე მუშაობას და მრავალი საკითხი, რომელიც უდავოთ მიგვაჩნდა, **საეჭვოთ და სადავოთ გახადეს.**

ყველა ამ მასალის გადასინჯვის და გათვალისწინების შემდეგ, ჩვენ საშუალება მოგვეცა გაგვეკეთებია ზოგიერთი დასკვნა.

ამ დასკვნებმა არსებითად **შესცვალეს ჩვენი ძირითადი შეხედულებანი** ჩვენ წარსულ მოღვაწეობაზე, რაიც ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ.

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია დაარსების დროს და შემდეგაც თავის მიზნათ ისახავდა მარქსისტულ **აზრების** გავრცელებას ახალგაზრდობის ფართო მასებში და მარქსისტულ აზროვნებაზე აღზრდილ თაობის მომზადებას. ამიტომ ის არ ერეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში და უმთავრესად კულტურულ მუშაობით კმაყოფილდებოდა. შეიძლება ზოგჯერ იყო ამ საერთო ხაზისაგან გადახრის შემთხვეა, მაგრამ არსებითად ეს ხაზი შეუცვლელი იყო საქართველოს გასაბჭოებამდე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მრავალ გარემოების ზეგავლენით, ორგანიზაცია საიდუმლო მუშაობაზე გადავიდა და ამის შემდეგ ის არსებითად დაშორდა თავიდან აღებულ ხაზს.

ორგანიზაცია არსებითად საბჭოთა ხელისუფლების მტრების ბანაკში აღმოჩდა და მისმა მუშაობამ უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ამ პოლიტიკურ მუშაობის შინაარსი ისეთივე იყო, როგორც სოც. დემ. პარტიის. უკანასკნელთან ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა, მაშასადამე, **ეს იყო საიდუმლო პოლიტიკური ბრძოლა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ,** საბჭოთა პოლიტიკა ათვის მეორე პოლიტიკურ მიმართულების დაპირისპირება

ამას ხელს უწყობდა მეორეს მხრით ემდეგი გარემოება; ორგანიზაციის მიზანს, მარქსიზმის შესწავლის საქმეს ხელი მოკიდა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც სცდილობს მარქსიზმის გავრცელებას ახალგაზრდობაში. მაშასადამე, ამ მხრით **ორგანიზაციას არ სჭირდება თავის დამოუკიდებელ არსებობის გამართლება და მის არსებობას არ აქვს მიზანი.**

თუ მას შეუძლია იარსებოს, მხოლოდ როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც იზიარებს საქართველოს სოციალ-დემოკრატ. პარტიის პოლიტიკას და **იბრძვის ხელისუფლების წინააღმდეგ.**

ასე დგას საკითხი.

ორგანიზაციის მთელი მუშაობა უკანასკნელ **დროში ამით** ამოიწურებოდა. **ეს კი სრული-**

ად მიუღებელია, ვინაიდან მუშაობის ძველი პოლიტიკურ ხაზით გაგრძელება **ნიშნავს ძველ პოლიტიკურ შეცდომების განვითარებას, საქართველოს ახალგაზრდობის ჩათრევას უმიზნო და არასოციალისტურ მოძრაობაში.**

თვით ამ მუშაობის ძველი ხაზი, რომელიც ორგანიზაციამ საქართველოს სოც.-დემ. პარტიისაგან გადიღო, არამც თუ არ აღმოჩნდა სწორი, პირიქით: ცხოვრებაში გატარების დროს მან მხოლოდ უარყოფითი მხარეები გამოააშკარავა.

ამ მუშაობაში შეთავსებული იყო ორი მომენტი: პირველი—**გადაჭრითი საიდუმლო ბრძოლა ხელისუფლების წი ააღმდეგ მის დამხობის მიზნით მთლიან ეროვნული ფრონტის შექმნა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად.**

მეორე—**ამ პოლიტიკის გატარებაში ორგანიზაცია უცხოელებზე ამყარებდა იმედებს.** ასეთ ნიადაგზე შესაძლებელი ხდება კავშირი არასოციალისტურ ძალებთან საკუთარ სოციალისტურ ორგანიზაციის გადაგვარება, მისი წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიაში გადასვლა და ისეთ ნაბიჯების გადადგმა, რომლებსაც შეიძლება არსებითად უარყოფდე, მაგრამ სინამდვილეში მათ განხორციელებას ხელს უწყობდე.

როგორც ამას ამოწმებენ საქართვ. საგანგებო კომისიის მიერ უკანასკნელ დროში გამოქვეყნებული ცხობები, საქ. სოც.-დემ. პარტიის იმედებმა პარტია აჯანყებამდე და ინტერვენციამდე მიიყვანა. **უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ასეთი პოლიტიკა უდიდესი დანაშაულია საქართველოს მშრომელ ხალხის წინაშე.**

იმედი აჯანყებაზე და ინტერვენციაზე და საერთოდ ინტერვენციის პოლიტიკა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ მიუღებელია, სინამდვილეში კი დააყენებს საქართველოს ხალხს და მის მშრომელ მასებს პოლიტიკურ რეაქციისა და ფიზიკურ გადაგვარების გზაზე და ძალიან ცუდ გავლენას იქონიებს მის მომავალზე.

პირიქით გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არის **სწორედ სოც.-დემოკრატიის პოლიტიკის გაუქმებაში, ხელისუფლებისა და კომპარტიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის შეწყვეტაში დ. მჭიდრო თანამშრომლობაში საბჭოთა ხელისუფლებასთან.**

ეს აზრი სავსებით გამოამეღავნა სოც.-დემოკრატიულ პარტიის რიგებიდან ძველ მუშათა და გლეხთა რაზმების გამოსვლამ ყოფ. მენშევიკების კონფერენციაზე და ამაშია სწორედ **ამბ. ს. დევდარიანის** გამოსვლის შინაარსიც. და იმ ნაწილში, სადაც ეხება ის **ეროვნულ საკითხის გადაჭრას, ჩვენ სავსებით უერთდებით მას.** ხოლო მოოვაწეობას სხვა გზით **ქართველ ხალხის, ახალგაზრდობის და მარქსისტულ თაობის ისევ აჯანყებაზე წაქეზებას და სხვა ასეთ სისულელეს ჩვენ ვთვლით ისტორიულ დანაშაულად.**

ამიტომ აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ **შესწყვიტოს ასეთი ხასიათის მუშაობა და ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.** დაყოვნება ამბრივ უდრის სიკვდილს, და ვინაიდან თვით ორგანიზაციის მიზანს—მარქსიზმის შესწავლას, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ანხორციელებენ, აშკარა ხდება ორგანიზაციის გაუქმების აუცილებლობა, რაიც უკვე მოახდინა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციამ 1923 წ. ოქტომბერში, როდესაც მან შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი ძველ გზასთან და ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა დაიყენა პროლეტარულ დიქტატურის დროშის ქვეშ.

ეს ნაბიჯი სრულიად მიზანშეწონილი იყო და ამის შემდეგ **ორგანიზაციის დარჩენილ ნაწილს არ აქვს არსებობის უფლება,** ვინაიდან ის იწვევს დევნას, დიდ უმიზნო მსხვერპლს და თავის პოლიტიკურ სახის დაკარგვას.

მეორეს მხრით, საერთაშორისო ფარგლებში ხდება დიდი ამბები. სწარმოებს ფაშისტურ-ბურჟუაზიულ-მილიტარისტულ ნაწილების შეჯგუფება და მათი შეტევა მუშათა კლასზე.

ამის გამო მუშათა კლასის წინაშე წამოიჭრა არა ვიწრო პოლიტიკური ხასიათის საკითხი, არამედ საზოგადოების ეკონომიურ წყობილების ძირითადი გადაჯგუფების და სოციალური რევოლიუციის საკითხი.

გაჭირვება მსოფლიო მეურნეობაში, მსოფლიო ომი, მილიტარიზმის ხელახალი გაძლიერება, კაპიტალისტური რეაქცია,—ყველაფერი ეს მოითხოვს საერთაშორისო მუშათა კლასისგან მთლიან ფრონტის შექმნას და უკიდურეს სოციალურ პოლიტიკის გატარებას ცხოვრების ყველა დარგში. **ამ ბრძოლის და მუშათა კლასის მიზნების განხორციელების საქმეს ხელმძღვანელობს საკავშირო საბჭო და კომუნისტური ინტერნაციონალი,** ამიტომ სოციალისტურათ მოაზროვნე ახალგაზრდობას ბრძოლა კი არ მართებს მათ წინააღმდეგ, არამედ **თანამშრომლობა და დახმარება.**

ამ გაკვრით აღნიშნულ შეხედულების თანახმად, საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ **ვდგებით ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ**

საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ვდგებით რა საბჭოთა ხელისუფლების ცნობის და გამართლების ნიადაგზე, მთელი ჩვენი ძალებით **ხელს შეუწყობთ მის საქმიანობას,** რომელიც მიმართულია **კაცობრიობის უდიდეს აზრის განხორციელებისაკენ.**

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე **ლომთაძე დავით ბესარიონის-ძე.**

წევრები:

1. ყიასაშვილი დავით ივანესძე.
2. კალანდაძე ალექსანდრე ლევანტის-ძე.
3. ჩაჩუა მიხეილ ფილატისძე.
4. ნუცუბიძე ვლადიმერ თედორეს-ძე
5. ედიბერიძე სევერიან გიორგის ძე.

ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებმაც ამ განცხადებას ხელი მოაწერეს, 21 აპრილს გაანთავისუფლეს.

შეკითხვებზე და წერილებზე

II

ბურჟუაზიასთან ერთად უნდა ებრძოლო ფეოდალურ რეაქციას,— ასე ამბობდა ძველი დროის მენშევიზმი, მაგრამ ბურჟუაზიასთან ერთად იბრძოლე, რომ ხელახლა დაიჯინო ფეოდალური რეაქციაო,—ეს არ ყოფილა აქამდე მენშევიკურ მსოფლმხედველობაში. არ უნდა შეეწუხებინა თავი ერთ ჩემს შემკითხველს და არ უნდა გაეხსენებია ის ამონაწერი ძველი „კვალიდან“. ეს ამონაწერი არ იძლევა გზას ბოლშევიზმთან ბრძოლაში. აიღეთ რომელი მიმართულების მენშევიკიც გინდათ. მარჯვენა, მარცხენა, სულ ერთია, ყველა ეტყვით, რომ ბალშევიზმის ჩამოგდება რუსეთში კარის გაღება იქნება თავად-აზნაურულ- ფეოდალური რეაქციისთვის. თუ დაუკვირდებით, ამას ნ. ჟორდანიაც ამბობს „ბრძოლის საკითხებში“. ერთ ალაგას იქ სწერს,—ბოლშევიკებს სახეირო მემკვიდრე არ ეყოლებათ რუსეთშიო, ბოლშევიკური ხიდან დემოკრატიზმი არ ჩამოვარდებაო. ამას გრ. ლორთქიფანიძეც ამბობს თავის წერილში, რომელიც საინიციატივო ბიუროსათვის გამოუგზავნია. ამას ვამბობ მეც. რაც არ უნდა მოგწონდეს ბოლშევიზმი, უნდა შეიგნო, რომ ჩამოგდებული ბალშევიზმის შემდეგი ძალა-უფლება იქნება უკიდურესი რეაქციონური.

მაგრამ ნ. ჟორდანია სწერს, ეს რუსეთში იყოს, საქართველოს რა ესაქმება რუსეთთან, საქართველო თავისთვის უნდა იყოსო. წინა წერილში უკვე ვთქვით, რომ ეს თეორია ვერ გავა სინამდვილეში. რუსეთის და საქართველოს ისე დაშორება, როგორც ნ. ჟორდანია ფიქრობს, არ მოხერხდება. ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ თუ რუსეთში გაიმარჯვა ფეოდალურმა რეაქციამ, საქართველოშიაც ის იქნება გამარჯვებული.

საქართველოში აქამდისაც ფეხმაგრათ იყო დემოკრატია, აწიც ისე იქნებაო=ფიქრობენ ზოგიერთები. თავის მოტყუებაა ეს. დემოკრატიამ ვერც რუსეთში მოიმაგრა ფეხი რევოლიუცია-რეაქციის დროს, ვერც საქართველოში „დემოკრატია“ უკან მისდევს რომელიმე გამარჯვებულ ძალას, და ეს ძალა ან რეაქციაა, ან რევოლიუცია, აქ რომ თავადაზნაურულმა რეაქციამ გაიმარჯვოს, ის უთუოდ „მოაწესრიგებს“ არჩევნებს იმნაირად, რომ დემოკრატია მისი ამყოლი იქნება.

საქართველომ თავი ვერ შეინარჩუნა „შუა ხაზზე“, ვერ გაატარა დამოუკიდებელი დემოკრატიული პოლიტიკა. ის შეიქმნა დასავლეთ ევროპის ამყოლი. ევროპა ორნაირია, რა შეეძლო მუშათა ევროპას საქართველოს საკითხში? რითი შეეძლო დახმარება გაეწია საქართველოსთვის, მარტო ქაღალდზე გამოთქმული თანაგრძნობით ხომ ვერ გააკეთებდა საქმეს?!

ძალა კი მეორე ევროპას აქვს, ბურჟუაზიულ ევროპას. ნ. ჟორდანია ამბობს „ბრძოლის საკითხებში“, ბოლშევიკები ძალით უნდა გავიდენ აქედან, რაკი ძალით არიან შემოსული. ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთხვევა ვაიძულოთ წასვლაო.

რა თქმა უნდა ბურჟუაზიული ევროპისაგან უნდა ისესხო ეს საიძულებო ძალა.

სოციალ-დემოკრატიას ეკარგება დემოკრატიზმი, როცა ამისთანა სესხის ძებნას იწყებს.

საღდგომო

ანდაზაა: „ავი კაცი აღდგომასაც არის ავი“.
და ასეთი ჩვენში არის ჯერჯერობით უამრავი;
მიტომ ვამბობ: არავისთან კომპრომისი ან თუ ზავი;
რას მიჰქვია ეს აღდგომა—ვინმეს თუ აქვს გული შავი.
ჩვენ უხვი ვართ და სულყველას მივულოცავთ დღესასწაულს;
არავის არ ვაპატივებთ შავ საქმეს და დანაშაულს.
„ვიზიტს“ ყველას გავუკეთებთ ნაცნობს-უცნობს, მტერს-მოყვარეს.
შემოვიღლით კიდით-კიდეს—არ დავტოვებთ უცხო მხარეს.
საჩუქრების კალათებით, ჰა, შევკაზმეთ სახედარი,
რომლით ბზობას ჩამობრძანდა იერუსალიმს მაცხოვარი.
შუა ღამეა... ქრისტე აღსდგა... მიწის ძვრაა შესაზარი
და საათმა აღმასკომის, ჰა, თორმეტჯერ დაჰკრა ზარი.

კომპარტიას

რას დაგაკლებს შევარდენს მოყაყანე ყორანი.
ნიაღვარმა მოსწყვიტა კაპიტალის ბორანი
და დაღუპავს განწირულს სადმე ორომტრიალი;
ეღირსება ევროპას წითელ დროშის ფრიალი.
ემატება შენს რიგებს კიდევ ბევრი მშრომელი,
აწ რომ მტრობა გაბედოს ვინ იქნება, რომელი?

საინიციატივო ბიუროს

მოვედი და მომაქვს კვერცხები წითელი,
რადგან შენ უარჰყავი შავი და ყვითელი.
არასდროს გაკრთობდა ავსულთა სისინი.
რვა თვეში გარიყე და დაჰგმე ისინი.
იმათთგანი დამარხულს აჰხადე შენ ლოდი
და გაანიავე მოძღვრება მელოტი.

?

ვერ მარკვევს აზრები მახვილი და კვეთრი,
არ ვიცი რა გიძღვნა: წითელი თუ თეთრი.
რომ კვერცხი მოგიძღვნა იქნება საბაბი:
— თუ უწინ რა გაჩნდა: კვერცხი თუ ქათამი.
მეცნიერთ მივანდოთ ამ საქმის ძიება,
რომ ჩვენს თავს ვაშოროთ ცხელება-ციება.

ლიცინოვს

მე გამიტაცა ოცნებამ და დამავიწყდა მთავარი,
რაც არის ჩემი ცხოვრების სილამაზე და ჯავარი.
გულმავიწყობა შემინდე—ეგ არ მომსვლია ავობით,
სამაგიეროდ მოგიძღვნი კვერცხებს და შაქარს თავობით
მეყოფა უმუშევრობა—და თუ კი მომცემ სამსახურს
სანაცვლოდ ჩემგან მიიღებ: მადლობას, პასქას და კახურს.

კომ. ახალგაზრდ. კავშირს

რატომ შეგძულდა ასე მოძღვარი,
კაცი სათნო და წყნარი ვით ცხვარი?
რატომ დაჰკეტე წმიდა საყდარი
და ჩამოხსენი სამრეკლოს ზარი?
გააბითურეთ მღვდლები-მოლები
და აატირეთ მათი ცოლები.
თქვენ ამ საქმეში არ გყავთ ტოლები
და ყველას სჯობნით კომსომოლები.

ბირეა

1.

ბირეას შრომის, ფეხზე დგომის მოულოცავ—მაგრამ არა...
იქ ყოველდღე ბევრი სხედან და იმისთვის ისიც კმარა.
გამრავლდება კიდევ უფრო, კრუხებსავით სხედან ყველა,
ხოლო მივსცეთ სანუგეშოთ „სემიჩქა“ და ან ჩურჩხელა.

2.

აწ რა ვუთხრა „ერევანკას“ სამუდამოდ განსვენებულს,
სპეკულიანტს და ბირეევიკს უსაქმოს და დასვენებულს.
აღარა აქვთ ერთობ სავსე კოთხოები და ქილები
და რეფორმამ დაუკარგა საღდგომო იშკილები

ქართულ თეატრს

მაშინ აღსდეგი, რომ გესტუმრა „უცხო კენტავრი“
(„ქართულ, ულვარგის“ პიესებზე იყარა ჯავრი...
მას გვერდში უდგას სიამაყით „ცისფერი“ მავრი)
რა საჭიროა მშობლიური რეპერტუარი?
ხომ სავსე არის სავარძლები და ბენუარი—
მაშ ყველა ძველებს და „მელოტებს“ ეუწყოს უარი.

გაზეთეგს

როცა ზევით „ჩერვონეცი“ მიდიოდა როგორც რაში
და კურსს ექვსჯერ აცხადებდენ სამ საათზე ერთ კვირაში
მეტის-მეტად გაგეზარდა შენ ფორმატი და ტირაჟი—
— მაგრამ, როცა ეს რეფორმა გამოცხადდა—ოი, მაშინ
არ გყიდულობს: რესტორანი, სავაჭრო და ყავახანა
და კვლავ იწყო ზესვლამ ქვესვლა და ტირაჟი დაექანა.

გლეხეგს

„მაკრატელი“ ძმურადა შეაერთა რეფორმამ.
გამოიღოს ნაყოფი თქვენმა ოფლმა და შრომამ.
ოქრო-ვერცხლის ფულები აწ ჯიბეში სულ ჰქონდეს
ქალაქში—დან რაც გინდა მიგქონდეს და მოგქონდეს.
ბევრი ველი დაგეხნას სიმინდით და პურითა
არ მოგაკლდეს ცის მადლი—ღვინო გქონდეს ჭურითა.

ევროპას

მოვალ და მომაქვს სავსე აბგით ლაყე კვერცხები,
რომ დავასუქო პარლამენტის ყველა ვირთხები.
ხმის გასაწმენდათ ლაყე კვერცხები არის წამალი.
(თუ არ მეყოფა კვერცხებს მათთვის დასდებს მამალი).
მაგრამ არ მინდა ქალაქ-ქალაქ ასე ვეტაარო
სჯობს ერთ ადგილზე საჩუქრები, რომ გადმოვყარო
და ერთმანეთში ისევ ძმურად გაინაწილონ
(ვის რა ერგება ყველას მისცენ, არ გააწბილონ)
ნადავლ-ნატაცის გასაყოფი არის პარიზი
ჰაეროპლანით ვესტუმრები (არა მაქვს ვიზი)
კვლავ ძველებურად მოიყარეთ იქ ყველამ თავი.
არ დაარღვიოთ გაყოფის დროს „ვერსალის ზავი“.
ცარიელ ტომრებს (იმედია) გადასცემთ „ჩვენებს“
(ჭორებისათვის კაცი მაინც გამოიყენებს).

მენგო.

ბურჟუაზიული ევროპა რომ შეეჯახოს რუსეთს და ისე „გაანთავისუფლოს“ საქართველო, საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს დემოკრატიზმი დემოკრატიული მთავრობა ხიდათ გაუხდება მემარჯვენე ძალებს, ვერ გაუმკლავდება და ვერ გადაეღობება მათ წინ.

ამიტომ ვთქვი; რომ ფორმულა—„დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“, რამდენათაც ეს მოასწავებს ბურჟუაზიული ევროპის დახმარებით საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდებას, რეაქციონურ ფორმულად არის დღეს გადაქცეული.

ერთი გადასახლებული ამხანაგისაგან მივიღე მთელი რიგი შეკითხვების, მეკითხება სხვათა შორის:

— დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ შემცდარი გზაა და რეაქციონური შინაარსი დაედო—ეს საერთოდ, თუ ასეთი შინაარსი დაედო მარტო საქართველოშიო.

მე მხედველობაში მაქვს საქართველო. საერთოდ მენშევიზმს მე არ შევხებივარ ჩემს წერილებში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც აწი შევეხები. საქართველოს მენშევიზმი მეორე ინტერნაციონალში რუსულ მენშევიზმთან ერთად იდგა მემარცხენე მხარეზე. დღეს კი ქართული მენშევიზმი დამდგარია მარჯვენა მხარეზე. ყველაზე უფრო მტკივანი ადგილია ახლა ის მეორე ინტერნაციონალის სხეულზე. მარტო ქართული მენშევიზმია ახლა იმის მომხრე, რომ ბურჟუაზიული ევროპის ძალებით მოხერხდეს ბოლშევიზმის ჩამოგდება რუსეთში და საქართველოში.

იგივე ამხანაგი მეკითხება:

— „ინტერვენციის წინააღმდეგი ვიყავიო, ამას ადასტურებდა 10 აპრილის რეზოლიუცია, მე კარგათ მახსოვს, ბათომიდან დაბრუნებისას, როცა 10 აპრილის რეზოლიუცია შეიმუშავეთ თქვენ სხვა ორ ამხანაგთან ერთად, როცა ამ რეზოლიუციის დებულებები ირჩეოდა ვიწრო წრეში, ერთი სიტყვა არ თქმულა არავისგან ინტერვენციის სასარგებლოდ. ამას შემდეგ ასე ვფიქრობდით და ვფიქრობთ ახლაც. შეიძლება მერე შეიცვალა რამე"?

შეიცვალა აი რა. გამოირკვა რომ შეთანხმებით, სოციალისტურ-კომუნისტური კომისიებზე ლაპარაკით არაფერი გაკეთდება, გამოირკვა, რომ კომუნისტები არ წავლენ საქართველოს საკითხში ისე, როგორც ჩვენ მივეცით წინადადება. 10 აპრილის რეზოლიუცია არ მიიკარა სინამდვილემ. შემდეგ ქართულ მენშევიზმში ფესვი გაიდგა იმ აზრმა, რომ „ძალით მოსული ბოლშევიზმი უნდა გაიდევნოს ძალით". ძალა, როცა თავისი არ გაგაჩნია, სხვისი უნდა ისესხო ეს კი გულისხმობს ინტერვენციას.

ნ. ჟორდანია იტყვის, ვისი რა საქმეა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თავდაცვის საქმეში დაიხმარს, ვინც უნდა იყოს ეს დამხმარე. ეს ხომ არ იქნება რუსეთის საქმეებში ჩარევა.

ეს მართალია სუბიექტიურად, შეიძლება ძალიან გინდოდეს, რომ შენ საზღვრებს არ გასცილდეს რუსეთისკენ, ვინც მოგეშველება გარედან, მაგრამ ვეღარ გაიჩერებ, შენ არ დაგეკითხება და ისე შეიპრება რუსეთში ეს ძალა, ან ყოველთვის იქნება რუსეთის წინააღმდეგ დაპირდაპირებული. ობიექტურად ეს გამოვა რუ ეთის საქმეებში ჩარევა და ამის ხელისშემწყობი, უნდა თუ არა, იქნება საქართველოს სოციალ-დემოკრატია. ის წინამორბედათ გაუძღვება ამ შემთხვევაში „წმინდა რუსულ" რეაქციას; ამას ალარ დაერქმევა დემოკრატიზმი.

არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და ზოგიერთი შეკითხვების ავტორებმა კი ისე გამიგეს, რომ მე, ვითომ, საერთოდ, პრინციპიალურად უარვყოფ დემოკრატიას, დემოკრატიზმს. ბურჟუაზიული ევროპის დახმარება" ვერ მოგვცემს რუსეთში და საქართველოში დემოკრატიას,—ამას ვამბობ, და ეს არ არის დემოკრატიის უარყოფა.

ბოლშევიზმის ჩამოგდებით არ დამყაროება დემოკრატია. თუ ეს ასეა, და ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ასე არ არის, ჩვენ, ვინც მართლა დემოკრატიზმის გზით მივდივართ, არ უნდა ვფიქრობდეთ ბოლშევიზმის ჩამოგდებაზე. — „მინდა შეგეკითხოთ, მწერს ერთი ამხანაგი. რა არის დემოკრატია საერთოდ და რა არის ბურჟუაზიული დემოკრატია. ამდენ ხანს მე ასე მესმოდა, რომ დემოკრატია ნიშნავს პრესის, კრების, კავშირების თავისუფლებას და საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას.

დემოკრატიის მოსაპოვებლად პროლეტარიატი ებრძოდა ბურჟუაზიას ევროპაში ეს კლასი წინააღმდეგია დემოკრატიის, რადგან იცის, რომ დემოკრატიის ნი დაგზე მუშათა კლასი იბრძვის მის გასაუქმებლად. ახლა იძახიან, არის ბურჟუაზიული დემოკრატია, და არის მუშათა დემოკრატია რადა არის ეს ბურჟუალი დემოკრატიაო„.

შეკითხვების ავტორი ფიქრობს, რომ ევროპაში მუშათა კლასი ბურჟუაზიას ებრძოდა „დემოკრატიის მოსაპოვებლად". პირველად ეს არ ყოფილა ასე, დემოკრატიისათვის ევროპაში იბრძოდა ჯერ ბურჟუაზია. ის ებრძოდა ძველ ფეოდალურ წესწყობილებას ამისათვის. მუშათა კლასი ბურჟუაზიას მიჰყვებოდა მაშინ ამ ბრძოლაში. ბურჟუაზია იმ დროს ობიექტიურად გამოხატავდა რამოდენიმედ მშრომელი ხალხის ინტერესებსაც. ევროპის რევოლიუციებში ბურჟუაზია მიდიოდა დემოკრატიზმის გზით თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. იმ რევოლიუციის ხანებში დაიბადა ბურჟუაზიული დემოკრატია. ის იცავდა სიტყვის, ბეჭდის, არჩევნების თავისუფლებას რამოდენათაც ეს საჭირო იყო თავად-აზნაურობის გასაუქმებლად, კაპიტალიზმის განსავითარებლად და თავისი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებლად. ის იყო დემოკრატიული, სანამდის არ ეშინოდა, რომ მუშათა კლასი მის წინააღმდეგ გამოიყენებდა დემოკრატიას.

ბურჟუაზიული დემოკრატია დაიბადა იმ ბრძოლაში, რომელსაც ბურჟუაზია აწარმოებდა ფეოდალიზმის გასაუქმებლად. მუშათა დემოკრატია იბადება იმ ბრძოლაში, რომელსაც მუშათა კლასი აწარმოებს ბურჟუაზიის გასაუქმებლად.

ასე იყო და ასე არის ევროპაში. სხვანაირად წავიდა ისტორიული განვითარება რუსეთში. იქ მუშათა დემოკრატიის პირველი მერცხალი „შემოფრინდა" იმ დროს, როცა ფეოდალური წესწყობილება ჯერ კიდევ არ იყო შერყეული, როცა ბურჟუაზიას გამაგრებული არ ჰქონდა პოლიტიკური ხერხემალი. ევროპის რევოლიუციებში მუშათა კლასი მიჰყვებოდა ბურჟუაზიას, რუსეთის რევოლიუციაში ბურჟუაზია უნდა გაყოლოდა მუშათა კლასს. ის თავის საყოვ. ფრთებ შეკვეცილ თავისუფლებასაც ვერ მოიპოვებდა, რომ მუშათა კლასი არ ყოფელიყო მოწინავე მებრძოლ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთში დაჭკნა ბურჟუაზიული დემოკრატია, სანამდის აყვავებას მოესწრებოდა. ამჯობინა შეთანხმება ძველ წესწყობილებასთან. ამ შეთანხმების გზას დაადგა ის უფრო მკაფიოდ 1917 წლის რევოლიუციაში, მეტადრე ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. მას აქეთ რაც ბოლშევიზმი სახელმწიფოს სათავეში მოექცა, ბურჟუაზიული დემოკრატია თითქმის სულ გაითქვიფა მემარჯვენე—რეაქციონურ ძალებში, ბოლშევიზმთან ბრძოლაში იარაღი იყო საჭირო, იარაღი კი ამისთანა ძალებს ჰქონდათ. დენიკინი, ეს ნამდვილი სისხლი და ხორცი მეფური წესწყობილების, შეიქმნა რუსეთის ბურჟუაზიის მეთაურიც. დენიკინი მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მოწვევასაც, სიტყვის, ბეჭდვის და სხვა თავისუფლებასაც, მაგრამ ამითი ის ცდილობდა ბრძოლა გაეადვილებია ბოლშევიზმის წინააღმდეგ და თითონ რომ გამეფებულიყო მთელ რუსეთში, დემოკრატიას ცოცხით გახვეტავდა. დენიკინს ახლდა თან ვ. ნ. განსაკუთრებული თათბირი (особое совещание), იმაში თავმოყრილი იყო ბურჟუაზიული ლიბერალები, დემოკრატები, მათ დაივიწყეს თავისი ჰატარა წარსულიც, და რომ დენიკინს საბოლოოთ გაემარჯვებია, ისინი ფეოდალურ რეაქციას ჩაუცვამდებოდენ კალთაში, მათთვის მიუღებელი გახდებოდა მათივე გუშინდელი მრწამსი ბურჟუაზიული დემოკრატიზმი.

ბურჟუაზიულ დემოკრატიას ახლა მონარქისტებთან აქვს მოლიანი ფრონტი საბჭოთა ძალა-ულების წინააღმდეგ. „თემოკრატიის გზით" ახლა იგივეა, რაც მონარქიის გზით. მუშა ვერ დადგება ამ გზაზე, რაც უნდა არ მოსწონდეს იმას ბოლშევიზმი. მონარქისტებთან თანამშრომლობით ის ვერ იპოვნის სიტყვას, ბეჭდვის, ორგანიზაციების თავისუფლებას, ვერ ნახავს გზას სოციალიზმისკენ.

ქართველი მუშა გლეხი ვერ დაისახავს მიზნათ საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდებას. რომ დაისახოს, უთუოდ რუსული მონარქიზმის ბადეში გაებმება, რადგან არ არსებობს ის დემოკრატია, რომელიც მარტო თავის თავს დაეყრდნობა და მემარჯვენე ძალებისკენ არ დასჭირდება მიკედლება.

როგორც ზემოთ ვთქვი, მუშათა დემოკრატია იბადება ბურჟუაზიასთან - რეაქციასთან ბრძოლაში. მუშათა დემოკრატია ვერ განმტკიცდება, სანამდის ეს ბურჟუაზია—რეაქცია დამარცხებული არ იქნება.

სოციალიზმის პროგრამა ყოველთვის მოითხოვდა ფართო დემოკრატიულ უფლებებს და მერე პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მოწინააღმდეგე კლასის მოსასპობად. სოციალისტური პარტია, როცა ის სახელმწიფოს სათავეშია და არ უნდა, რომ ძალაუფლება ვინმეს დაანებოს, დემოკრატიულ პრინციპებს ვერ გაატარებს. მენშევიზმიც ვერ ისახელებს თავს დემოკრატიზმით ამისთანა დროს. არც ის დახარჯავს სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას თავის მოწინააღმდეგეებისათვის.

ერთ წერილში მე ვამბობდი, მაკდონალდის შესახებ, ან ვერ შეირჩენს ძალაუფლებას, ან ბოლშევიზმის გზას გაყვება ძალაუფლების შესარჩენათ-თქო. სამი თვეც არ გასულა, რაც ის ინგლისის სათავეშია, და რას ვხედავთ? ბოლშევიზმის გზით არ მიდის, მაგრამ არც თავისი დამოუკიდებელი გზა აქვს. „შრომის ინტერესებს დავიცავ, მაგრამ არც კაპიტალის დაცვაზე ვიტყვი უარსო". სადაც ის მუშებისთვის ცდილობს მის გაკეთებას, მთელი ბურჟუაზია-კონსერვატორებიც და ლიბერალებიც —მისი წინააღმდეგია. სადაც ის ცდილობს, რომ ბურჟუაზიას არ აწყენინოს, იქ მუშათა კლასი მისი მოპირდაპირეა. რა თქმა უნდა ამ „ხაზზე" ის ძალაუფლებას ვერ შეირჩენს, ან სულ ჩამოეცლებიან მუშები.

ასე მუშაობს ისტორია. კლასთა ბრძოლაა ისტორიაში. — დემოკრატიზმი კარგიაო, იძახოდე, არ კმარა. უნდა იცოდე, საიდან და როგორ მიიღებ ამ დემოკრატიზმს. თუ, მაგალითად, ინგლისში მუშათა კლასი აუხირდა ბურჟუაზიას, თუ გაახშირა გაფიცვები და სხვა გამოსვლები, მაკდონალდი უფრო ხაზგასმით იტყვის კაპიტალის ინტერესებს ვიცავ. ის გახდება ბურჟუაზიის დიქტატურის მომხრე.

თუ არ გახდა, ბურჟუაზია ჩამოაგდებს, და თუ მომავალ არჩევნებში მეტი ხმა მიიღო მუშებისგან, თუ ხელ ახლა მოექცა მთავრობის საოთავეში, უფრო ხაზგასმით უნდა თქვას,—შრომის ინტერესებს ვიცავო, მომხრე უნდა გახდეს მუშათა კლასის დიქტატურის. თუ არ გახდა, მუშები ჩამოაგდებენ და სულ გარიყული დარჩება.

დემოკრატიზმის საკითხი ახლანდელ დროში მჭიდროთ დაკავშირებულია დიქტატურის საკითხთან. აღარ გარგია მარტო იმის თქმა, რომ იბრძვი „დემოკრატიის მოსაპოვებლათ". უნდა გაიგო რომელი დიქტატურით მიდიხარ დემოკრატიის საძებრათ—ბურჟუაზიის დიქტატურა გაპოვნიებს ამას, თუ მუშათა კლასის.

აუარებელი შეკითხვები მიდევს აგერ დიქტატურის და დემოკრატიზმის შესახებ. ამ წერილში მინდა ვთქვა მარტო, რომ მუშათა კლასი „დემოკრატიის ნიადაგზე" ვერ დადგება, თუ ბურჟუაზიულმა დიქტატურამ გაიმარჯვა. კერძოთ, საქართველოს მშრომელ ხალხს სულ არ ეღირსება „დემოკრატიის ნიადაგი", თუ რუსეთში თავი შემოჰყო ბურჟუაზიულმა დიქტატურამ, უთუოდ შემოჰყოფს. თუ საბჭოთა ძალაუფლება ჩამოვარდა.

დემოკრატიზმი უნდა შეიქმნას ამ ძალაუფლების ნიადაგზე, მუშათა დემოკრატია უნდა გამოვიდეს მუშათა კლასის დიქტატურისგან.

ეს არის ჩემი პასუხი მეორე რიგის შეკითხვებზე. ძალიან შემცდარია ერთი ჩემი შემკითხველი, როცა მეუბნება, —რათ უარყავით, რასაც მთელ სიცოცხლეში ემსახურებოდითო. თუ კარგათ დაუკვირდება ჩემს წერილებს და მიხვედრა არ აკლია, მიხვდება, რომ თავისი შეკითხვით ის, ერთი რუსული გმირის არ იყოს, „промежду недоразумениев бродит".

საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ უფიქრია მთელ თავის სიცოცხლეში საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ისე, როგორც ამ უკანასკნელ წლებში. ალბათ, ამითი აიხსნება საშინელი გამარტივება დამოუკიდებლობის საკითხის. გონიათ, რომ საქართველოს არაფერი არ შერჩება დამოუკიდებელი განვითარებისათვის, თუ ის რუსეთის კავშირში იქნა.

ამისთანა გამარტივებული მოსაზრების ფერი ადევს ერთ წერილს, რომელიც მე მივიღე აგერ რამოდენიმე დღეა. მომყავს რამოდენიმე სტრიქონი ამ წერილიდან:

„პატივცემულო სეით, თქვენმა გამოსვლამ დიდი ხნის გამტკიცებული იმედი მოგვიკლა, ოცნება დაგვიმსხვრია, შექმნილი მირაჟი გაგვიცარცვა სიტიტვლემდის! შეგვებილწა და დაგვემსხვრია ღმერთი, რომელსაც მარადის თაყვანს ვსცემდით. მთელი ჩვენი არსებით ვიბრძოდით სამი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა განთავისუფლებულიყო უცხო მპყრობელი ძალისაგან, მაგრამ დღეს თქვენი გამოსვლა საკითხს სულ სხვანაირათ აყენებს; და აი აქ არის საქმის მთელი სიმძიმე. ჩვენ ურყევათ მივდიოდით იმ გზით, რომელზედაც ჩვენი საყვარელი ბელადები გვითითებდენ და რომელიც ჩვენი აზრით სწორი იყო ჩვენი სინამდვილისთვის. სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო შექმნილ პირობებში. როგორც მოგეხსენებათ, არ გავყევით, არ ვუსმინეთ არავის, რადგან ვფიქრობდით ჭეშმარიტება ჩვენს მხარეზე იყო. არ ვუთანაუგრძნეთ არც ჩვენ გუშინდელ ყოფილ ამბანაგებს 35 აგვისტოს შემქნელთ. მაგრამ თქვენმა გამოსვლამ სულ სხვა ყალიბი მისცა ამ მიმდინარეობას. ვხედავთ, რომ საშინელის ტკივილით გადიზნიქა ამაყი ბებერი მუხა ჩრდილოეთის მაგარი სუსხიანი ქარის ქროლვისაგან, და ერთი ძლიერი დაბერვა ღაა საჭირო, რომ იგი სრულიად გადატყდეს..

ისმება საკითხი—პარტია, პრინციპები და იდეები უნდა შეეწიროს ერს და მის კეთილდღეობას, თუ ერი უნდა შეეწიროს უკანასკნელთ? თუ ირკვევა, რომ ეს საბედისწერო საკითხი ჩვენი ცხოვრების უღმობელმა აუცილებლობამ დასვა და სხვა გზა არ არის ამ საშინელი მსხვერპლის გარეშე, მაშინ დეე მთელი ჩვენი თავმოყვარეობა, საყვარელი თანშეზრდილი ზრახვანი და პრინციპები შეეწირონ ერის კეთილდღეობას. ჩვენ ქედს მოვიხრით დროთა ქროლვის წინაშე და ვემსახურებით ერს, ხალხის კეთილდღეობას, როგორ ძვირათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს!

ცნობილია, რომ ყოველ წამაღში საწამლავის განსაზღვრული დოზა ურევია. **თუ ღრმათ ვრწმუნდებით მასში, რომ ეს ისტორიული აუცილებლობაა, ჩვენ მოვალენი ვართ შევბრუნდეთ მთელი ჩვენი კორპუსით და შევბრუნდებით კიდეც.** (ხაზი ავტორისაა). საბედისწერო საკითხია,—ვიბრძოლოთ, შეველესოთ უკანასკნელ კაკამდის, თუ ახალი გზა ვეძიოთ? თქვენი პასუხი ამ საკითხზე გარკვეულია:—ძველი გზით სვლა ერის სიკვდილია, ხოლო ახალით კი მისი სიცოცხლის შენარჩუნება და წინსვლაა. თუმცა ამას დიდი მსხვერპლი სჭირია, ეს მსხვერპლი არის საქ. სოც. დემ. პარტიის ერის საკურთხველზე მიტანა, მისი სიკვდილი, იმ სოც.-დემ. პარტიის სიკვდილი, რომელიც ერს უძღოდა ათეული წლების განმავლობაში და მის არსებობის ისტორიაში ბრავალი ოქროს სტრიქონები დასწერა...

ვიღებ თქვენ დებულებას არა მარტო ლიტონ სიტყვათ, არამედ, როგორც პრინციპს, მომავალში სამოქმედოთ და ცხოვრებაში გასატარებლათ. მსურს, თუ საჭიროთ დაინახავთ, დაგეხმაროთ კიდეც იმ დიდ საქმეში, რომლის კეთება თქვენ გარკვეულათ ხელთ აიღეთ.. მოვდივარ თქვენს ხმა მაღლა ძახილზე, რადგან მსურს ისეთივე განსახიერება ვიყო აწიც განსაზღვრული იდეიისა, როგორც ამდენხანს, მხოლოდ შებრუნებული სახით".

რისი იმედი, რა ოცნება მოუკლა ჩემმა გამოსვლამ აქ მოყვანილი წერილის ავტორს? ალბათ, ისიც ელოდა სასწაულს:—საიდანმე დაჭკრავს საქართველოსთვის განთავისუფლების საათი. ეს იწვევს, როგორც ვხედავ, ტკივილებს იმის სულსა და გულში, მაგრამ მე ამას არ მოვერიდები. ცრუმორწმუნეობა უმტკივნეულოთ არ დაირღვევა. ერს უნდა დაემსხვრეს პოლიტიკური ცრუმორწმუნეობის ღმერთი, თორემ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ.

მე არ ვიზნიქები და ქედს არ ვიხრი „დროთა ქროლვის წინაშე". ქედის მოხრა იქნებოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უარყოფილი იყოს ახლა ჩემ მსოფლმხედველობაში. მე ვიბრძოდი ამ დამოუკიდებლობისთვის, როგორც მარქსისტი და სოციალისტი, ვარ და ვიქნები ამ მხრივ ის, რაც ვიყავი მთელ სიცოცხლეში. გამოვდივარ იმ უბრალო მოსაზრებიდან, რომ საბჭოთა კავშირში მეტი შესაძლებლობაა საქართველოს განვითარებისთვის, ვიდრე ამ კავშირის წინააღმდეგ დაპირ დაპირებაში, და იმის ფიქრში, როგორც ერთი შეკითხვა მეუბნება, რომ „ძალით შემოსული ბოლშევიკები, რატომ ძალით არ უნდა გაიდევნონ აქედანაო".

წერილის ავტორს საშინლათ ეძნელება ამ ფიქრის მოშორება თავიდან. ის მაინც სძლევს გულში დაგუბებულ გრძნობებს და მზათ არის სიძუნწე გამოიჩინოს. ეროვნული ბრძოლის სამსხვერპლოსთან თავის თავზე გამარჯვება ძნელი-საქმეა.

არ შემიძლია მივულოცო ამნაირი გამარჯვება ბევრ სხვა შეკითხვების და წერილების ავტორებს. მინდა კი ვუსურვო, რომ თავი გაინთავისუფლონ ქვენა გრძნობების ტყვეობიდან, სანამდის ხმას ამოიღებდენ საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე.

ს. დევდარიანი.



ამხ. ფარნიევის მოხსენება

(ჯორის მაზრის ყოფ. მეწმენდეების თათბირზე 30 მარტს)

ამხანაგებო! თქვენი სიეაღარე-ფლოვანობა იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენ გუშინ არ შებვედით პარტიაში და არც გესწავლებათ ჩემგნით ის, თუ რა იყო მიზეზი ჩვენი ყოფილი პარტიის დაშლისა. მართალია არალეგალური ნაწილი ჩვენი ყოფილი პარტიისა თავისი „ცეკას" ფურცლებით ქვეყანას არწმუნებს, რომ პარტია არ უნდა დაშლილიყო, მაგრამ ჩვენ ხომ ზეპირად ვიცნობთ ყველას, ვინც დარჩენ და ვინ არა. მართალია, იგივე „ცეკა" არწმუნებს აგრეთვე ქვეყანას, რომ პარტიიდან გასულები ჩეკამ დაიშინა, მოისყიდაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყველაფერი ეს არ არის მართალი და „ცეკა" მხოლოდ ჭორებს, სიცრუეს აერცელებს და ეს სჭირია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ვინმე გულუბრყვილონი შეცდომაში შეიყვანონ, დააიმედონ და მოიპოვონ ნდობა, და რომ მეტი ფასი-მნიშვნელობა მიეცეს ამ „ცეკას", ამისათვის საზღვარგარეთაც კი დაუარსებიათ „ბიურო" და მის მიერ შეთხზული ჭორები-სიცრუე აგრეთვე ვრცელდება, მაგრამ განა ამით იწურება საკითხი? განა ამით ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენი ყოფილი პარტია არ დაიშალა? განა მართალია ის, რომ ჩეკას დაუშინებიგვართ? არა, არა, ამხანაგებო, მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც განვითარებულია წარმოება-მრეწველობა, რომელსაც თან დასდევს პროლეტარიატი, პირიქით, ჩვენი ქვეყანა გლეხური, წვრილი-ბურჟუაზიული ქვეყანაა და მხოლოდ რამდენიმე პროცენტი მოიპოვება პროლეტარები, დანარჩენი კი თითქმის ყველანი გლეხებია, ქალაქის მუშების დიდი უმრავლესობაც კი ნახევრად გლეხები არიან, ვინაიდან დღემდის სოფელზე არიან მიკავშირებულნი კერძო საკუთრების ნიადაგ-

ზე. და აი ამ ქვეყანაში რევოლიუციონურ მოძრაობას დასაწყისიდანვე სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის პროგრამასაც შეუგნებლად იზიარებდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა: გლეხი, ნახევრათ მუშა და ნახევრათ გლეხი, ინტელიგენცია და წვრილი ვაჭრები, წვრილი ბურჟუაზია, ყველა ესენი ხსნას და სურვილების მიღწევას მოელოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, ვინაიდან ეს სხვადასხვა მისწრაფება-მიზნების კლასები ვერ იყვნენ დარაზმული თავიანთ პარტიებში და არც გარკვეული ჰქონდათ თავიანთი მიზნების განხორციელება-მიღწევისათვის ბრძოლის მეთოდები. ყველა ესენი იმ თავიდანვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უყურებდენ და სთელიდენ თავიანთ პარტიათ, მის ირგვლივ იყრიდენ თავს, შექონდათ წვლილი ბურჟუაზიული აზროვნებაში და იყენებდენ თავიანთი სურვილების მიღწევებისათვის პარტიას. რომ უფრო გარკვეული-გასაგონი დარჩეს ეს, ამისათვის მოვიგონოთ ის, თუ რას სწერდა ნოე ჟორდანია: „წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდენ, სამაგიეროთ ისინი მაგრდებიან ჩვენს პარტიაში. ამით ბურჟუაზიულმა აზროვნებამ შემოხეთქა სოციალ-დემოკრატიის კედლებში და მას ემუქრება შიგნიდან. მათთვის ჩვენ უბრალო დემოკრატები ვართ და სურთ ჩვენი პარტია იარაღათ მოიხმარონ თავისი მიზნის მისახწევად.

ისინი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, პირიქით ჩვენ ვართ მათი იარაღი და ვირძვით მათ სასარგებლოთ, ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლად“.

როგორ გგონიათ, ამხანაგებო, ჟორდანია უბრალოდ სწერდა ამას? რა თქმა უნდა უბრალოდ არ სწერდა. ის ხედავდა, და ჩვენც ვხედავდით რა თქმა უნდა, მაგრამ არც ჟორდანიამ და არც ჩვენ ღრმად არ ჩაუკვირდით და აი ახლა ყველასათვის თვალით დასანახი შეიქნა ის, რომ ჩვენ უბრალო დემოკრატებად გადავიქეცით, რომ პირიქით ჩვენ გავხდით იარაღი და ვიბრძოდით ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლად.

აბა მოიგონეთ, რომელი თვალსაჩინო პოლიტიკური გამოსვლები მოვახდინეთ ჩვენში 1905 წ. შემდეგ თვითმპყრობელობის დასამხობათ?

აბა მოიგონეთ, რომელი ეკონომიური გაფიცვები მოვახდინეთ ჩვენში მუშათა მდგომარეობის გასუმჯობესებლად 1905 წლის შემდეგ?

აბა მოიგონეთ, სად მოვახდინეთ ჩვენში 1905 წ. შემდეგ მემამულეების წინააღმდეგ გლეხების მდგომარეობის გასუმჯობესებლად და მიწების ჩამოსართმევად გამოსვლები?

დიახ, არაფერი ასეთი არ გაგვიკეთებია. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენდა უნებლიეთ გვერდი აუხვიეთ რევოლიუციონურ მარქსიზმს და ჩვენი ყოფილი პარტიაში გამაგრდა და თავიანთი მიზნების მისახწევ იარაღათ გახადა წვრილ ბურჟუაზიამ.

აი მთავარი და უდაო მიზეზი და საბუთი ჩვენი ყოფილი პარტიის დაშლის-ლიკვიდაციისა. რაც შეეხება იმას, თუ რათ დავდექით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და უარვყავით დემოკრატიული პარლამენტარიზმის დიქტატურა ამის გამოც ისევ ნოე ჟორდანიას წერილებიდან მოვიგონოთ ის ადგილი, სადაც ის ამბობს: „არც ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც დემოკრატია.

სოციალ-დემოკრატიის მეტოქე და დაუძინებელი მტერი დემოკრატიული პარტიებია და მათი დანგრევა, მისი (მუშათა კლასის) განვითარების აუცილებელი პირობაა“. უამისოთ ჩვენში როდის იყო, რომ ასე უსაზღვროთ გვიყვარდა ეს დემოკრატია და მისი დიქტატურა? მით უმეტეს ახლა, როდესაც თვით ბურჟუაზიულმა ქვეყნებმა ეს „წმინდათ-წმინდა“ მცნება გათელეს ფეხქვეშ, მივიწყებას მისცეს, ვის რა უფლება აქვს ჩვენ, ვისაც არ გვწამდა და არ გვქონდა მიზანი ამ დემოკრატიის დაკანონება სამუდამოდ, არამედ პირველ ხანებში მისთვის მხარის დაჭერა და მერმე მისი დანგრევა და ნანგრევებზე მშრომელი ხალხის ბატონობის, სოციალიზმის, კომუნიზმის დამყარება? ამას ღაღადებდენ მარქსი და ენგელსი, ამას ამბობდა თვით ჟორდანიაც და თუ ახლა აღარ მოსწონთ, ეს ჩვენი საქმე არ არის, რა თქმა უნდა, დემოკრატიას და მისი დიქტატურის მომხრე და დამცველებს არ მოსწონთ ის, რომ ჩვენ მათთან აღარ ვართ, პირიქით, მათი წინააღმდეგი ვართ და კვლავ საკუთარ პარტიის რიგებში ვირაზმებით. ამის უფრო გასარკვევათაც ისევ ნოე ჟორდანიას ნაწერებიდან მოვიგონოთ, ის სწერდა: „როგორც კი პროლეტარიატი წვრილ ბურჟუაზიულ რაზმს შორდება და თავის საკუთარ პარტიას აარსებს, მაშინვე აშკარავდება დემოკრატიის წვრილ ბურჟუაზიული სახე და ყველასათვის დასანახი ხდებაო“. ისე, რომ ისინი, ვინც ჩვენ გვიყვედრიან ამას, თუ რათ ვრაზმდებით მუშები მუშურ პარტიაში, აშკარავებენ წვრილ ბურჟუაზიულ სახეს და თუ არ ჯერათ ეს, უარყონ თუ გინდ ის, რასაც სწერდა ჟორდანია.

ამხანაგებო, ჩვენი ყოფილი პარტიიდან ბევრი, ძალიან ბევრი გავიდენ, აი თუ გინდ აგერ რომ ზის გიორგი გაგლოევი და მრავალი სხვა, ყოფილი წევრები დამფუძნებელი კრების, ქალაქების და მაზრების გამგეობების, სხვადასხვა დაწესებულება-დარგების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები და ვინ იცის, როგორი დიდი თანამდებობის პირები. წარმოიდგინეთ გენერალ-გუბერნატორიდან მინისტრებამდე და რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ მიზეზები იყო, ყველა თავის კლასის გზაზე დაადგა, ჩვენ მუშები და გლეხებიც ჩვენი საკუთარ გზაზე დავდექით. ჩვენი ყოფილი პარტიიდან გასულებმა ბევრმა ხელი აიღო ყოველგვარ საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ძალიან მცირე ნაწილმა ავანტიურისტულ პოლიტიკას მოკიდა ხელი და პარტიის დაუკითხავათ-სურვილის წინააღმდეგ შევიდენ ანტისოციალისტური პარტიების ბლოკში საბჭოთა-მუშათა და გლეხთა წარმომადგენლობის მართვა გამგეობის სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რა თქმა უნდა, ჩვენ მუშებს და გლეხებს, პარტიის ძველ წევრებს, არ შეგვეძლო არც ხელის აღება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებზე, და არც ის შეგვეძლო, რომ ჩვენი-პარტიის მუშების და გლეხების სახელით რამდენიმე კაცს ემოქმედა და ჩვენ ჩუმათ ვყოფილიყავით.

(დასასრული იქნება)

ლენინი და ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა

(მ ა ს ა ლ ე ბ ი)

ამხ. ლენინი ახლო მონაწილეობას იღებდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში. ეს მონაწილეობა გადამწყვეტი და ყოველთვის კეთილმყოფელი იყო, რადგან განსვენებულ ბელადს ჰქონდა განსაცვიფრებელი უნარი, რომლის წყალობით თვით შორეული მანძილიდან, დეტალებთან და დაწვრილებით საქმესთან გაეცნობათ, სწრაფათ ერკვეოდა მდგომარეობაში, მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა ამოცანებიდან ირჩევდა და თავის ყურადღებას აჩერებდა მხოლოდ ამა თუ იმ მომენტში უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე და პოულობდა მის გამოსახატავად ყველაზე ელემენტალურ, ნათელ და მკაფიო ფორმულიროვკას.

უშუალოდ ლენინისაგან პოლიტიკური დარიგებანი—დირექტივები მივიღეთ ჩვენ, ამიერ-კავკასიელმა კომუნისტებმა, საქართველოს გასაბჭოების გამო.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი შემოვიდა მენშევიკების მიერ გაქურდულ თბილისში, მენშევიკური მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით, გარშემორტყმული თავისი „აპარატჩიკებით“, ყველა ჯურისა და ეროვნების სპეკულიანტებით, თეთრი და შავი სამღვდელოების ზედა წრეებით და სხვა „ცოცხალი ძალებით“ უკან იხევდა დასავლეთისაკენ, ქუთაის-ბათუმისაკენ.

ჩვენ გასაბჭოებულ საქართველოს პირველ მუშაკები ვითვალისწინებდით ქვეყნის საკმაოთ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობას მისი თავისებური სოციალური სტრუქტურით, უსახო წვრილი ბურჟუაზიით და ტრაბახა ინტელიგენციით, რომლის დიდი ნაწილი მოწამლულიიყო ნაციონალური ცოფიანობის შხამით. არ გაგვიშვია მხედველობიდან ეკონომიური ჩამორჩენილობა ამ აზიაში მდებარე „შეიცარიისა“, რომელიც

ამას გარდა ერთი იმპერიალისტური მცარცველის ხელიდან მეორეს ხელში გადადიოდა იმ დროს, როდესაც ქართველი მეწშევიკები გაჰყვიროდენ დემოკრატიული ოაზისის“ დამოუკიდებლობის, სუვერენობისა და ნეიტრალობის შესახებ. მაგრამ ჩვენ,—ცოდვა გამომძღავნებული სჯობს,-- მტკიცედ არ ვიცოდით რა გამოხატულება უნდა მიეღო ამ გათვალისწინებას საქართველოს ახლად შობილი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემაში: პარტიის მეათე ყრილობა ჯერ კიდევ წინ იყო, ახალ ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა მობილიზაციის წესით აზერბეიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადაგზავნილ ქართველ კომუნისტების დიდი უმრავლესობის საბჭოთა—პარტიული მუშაობის გამოცდილება კი დამძიმებული იყო სამხედრო კომუნიზმის „შაბლონით“.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ ეს შაბლონი დროისა და სივრცის პირობების მიხედვით არ უნდა გავიმეოროთ, რომ აქ რაღაც სხვანაირათ უნდა მოვაბრუნოთ საბჭოთა საქე. და ჩვენც ავიღოთ სხვა გეზი, მაგრამ გაუბედავათ უფრო ინსტიქტურად, ხშირათ ვისმენდით ბევრი გამოცდილების მქონე და მრავალ გასაჭირს გამოვლილ ამხანაგების საყვედურებს.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, სამ მარტს მე (რომელიც მაშინ რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე) ვიყავი, რადგან ამხ. მახარაძე ჯერ კიდევ ჩამოსული არ იყო, ის გზაში იმყოფებოდა) და ამხ. ელიავა (რევოლიუციონური კომიტეტის მეორე წევრი და არმიის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე) გამოგვიწვიეს მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით. ამხ. სტალინის საშვალებით ამხ. ლენინმა მოგვმართა ჩვენ შემდეგი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებით:

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წევრებს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მე მათ მაცნობონ გვაქვს თუ არა ჩვენ მათთან თანხმობა სამ მთავარ საკითხის შესახებ:

პირველი. დაუყონებლივ უნდა იქნან შეიარაღებული საქართველოს წითელი არმიის შექმნის მიზნით მუშები და უღარიბესი გლეხები.

მეორე. ქართველი ინტელიგენციის და წვრილი ვაჭრების მიმართ საჭიროა დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ წვრილი ვაჭრობის ნაციონალიზაცია არა თუ მიზანშეწონილია, არამედ ერთგვარი მსხვერპლიც უნდა გავიღოთ, ოღონდ კი გავუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დაუტოვოთ მათ შესაძლებლობა აწარმოონ წვრილი ვაჭრობა.

მესამე. მეტად მნიშვნელოვანია მისაღებ კომპრომისზე წასვლა ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშეკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდი აბსოლიუტურად მტრულად არ იყვენ განწყობილი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისადმი ერთგვარის პირობებით.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს შინაური და საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველ კომუნისტებისაგან არ გაიმეორონ რუსეთის შაბლონი, არამედ აწარმოონ მოქნილი და თავისებური ტაქტიკა, დამყარებული ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისადმი დიდ დათმობებზე.

გთხოვთ პასუხს. **ლენინი.**

თითქო ძლიერი პროკურორის სხივებმა გაგვინათა წრე იმ განსაკუთრებული პოლიტიკური ამოცანების, რომლებიც იდგენ საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე... ამხ. ორჯონიკიძემ (ბაქოდან) და ჩვენ თბილისიდან აღუთქვით ამხ. ლენინს, რომ ჩვენ ცოდნისა და ძალების მიხედვით და მისი ჩვენდამი რეგულიარული ყურადღების იმედით, შევასრულებთ მის რჩევა-დარიგებას, რომელთაც მთლიანად ეთანხმებოდა მთელი ორგანიზაცია, გარდა რამდენიმე არხი-მემარცხენეებისა, რომლებიც ჩქარა სასტიკად გადიხარენ მარჯვნივ.

* * *

ამხ. ლენინმა აქტიური ყურადღების გამოჩენა დაიწყო ჩვენი საკითხებისადმი. მთავარი ძალა, რომელმაც განდევნა ბურჟუაზიული მთავრობა, მან დაუმორჩილა საბჭოთა საქართველოს მთავრობას. აი მისი განკარგულება დეპეშით მეთორმეტე არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოსადმი 1921 წლის 15 მარტის თარიღით:

„მეთორმეტე არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს. ასლი საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს და ამხ. ორჯონიკიძეს.

ვინაიდან № არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, თქვენ წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან და სასტიკათ შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, არ გაატაროთ არავითარი ღონისძიება, რომელთაც შეუძლიათ შეეხონ მოსახლეობის ინტერესებს საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად, განსაკუთრებული პატივისცემით მოეპყარით საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ საქართველოს მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ სათანადო დირექტივები მიეცით არმიის ყველა დაწესებულებებს, მათ რიცხვში განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველანი, ვინც ამ დირექტივებს დაარღვევს. შეგვატყობინეთ დარღვევის თითეული შემთხვევა ანდა თუ გინდ მცირე უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

შრომის და თავდაცვის საბჭ. თავმჯდომარე **ლენინი.**

საშხედრო რევ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **სკლიანსკი.**

—:—

ისე, როგორც ყველაფერი, რაც ლენინისაგან გამომდინარეობდა, ეს განკარგულებაც არ ყოფილა უბრალო, სხვისთვის დასანახვებლათ, გარეშე ქვეყნისათვის გამოქვეყნებული ბრძანება. როცა ლენინმა გაიგო, რომ ერთ-ერთი ბანკის საწყობში თბილისში არმიის გაზეთისათვის წაიღეს ას ფუთამდი ქაღალდი, რომელიც უცხოეთის ფირმას ეკუთვნოდა, მან გასცა განკარნულება ქაღალდის ჩამორთმევაში უშუალო დამნაშავეთ (სამხედრო პირების) პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ამხ. მახარაძეს კი, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა მუქარით ცენტრალურ კომიტეტისაგან პარტიულ სასამართლოში მიცემის შესახებ, თუ ის დაუშვებს სამხედრო პირების არა თავის საქმეებში ჩარევის გამეორებას.

* * *

ჩვენ მივიღეთ თბილისი, ისე როგორც მთელი საქართველო, გაღატაკებული და გაძარცული. თბილისის საწყობებში არ აღმოჩნდა ართც ერთი ფუთი ქვილი ან ხორბალი—მეწშევიკებმა ცარიელი ტომრებიც კი წაიღეს.

გასაბჭოების პირველსავე დღეებში ჩვენ ჩრდილოეთით კავკასიიდან 150000 მეტი ფუთი პური მივიღეთ (გარდა არმიისათვის საჭირო პურისა) და დავიწყეთ მისი უფასოდ მიწოდება არა მარტო მუშებისათვის, არამედ ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის, „ღარიბების“ რიგში საკმაო მრავლათ იყვენ გუშინდელი ვაჭრები და სპეკულიანტები. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ვერავითარი დახმარება საბჭოთა რუსეთის მხრივ ვერ დაკმაყოლებდა საქართველოს, ისე როგორც აზერბეიჯანსა და სომხეთს. მაგრამ თვით რუსეთში განსაკუთრებით სატახტო ქალაქებში, თავი იჩინა პურის ნაკლებობამ. არმიას არა ერთხელ უხსნია ჩვენი სასურსათო კომისარიატი გამოუვალი მდგომარეობიდან, „უსეხნია“ რამდენიმე ვაგონი პური და სხვა სურსათი, მაგრამ ცხოვრების ასეგაგრძელება ხვალისათვის, ზეგისათვის, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. უნდა გვეფიქრა სიკვდილის ფერგადაკრულ, განშორებული, გაღატაკებული, დაღარიბებულ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილებათა უფრო რეალურათ უზრუნველყოფის და ეკონომიურ ცხოვრების გაჯანსაღების შესაგებ. განსაკუთრებით მდგომარეობაში იყო სომხეთი: მშიერი, ტიფმოდებული ლტოლვილებით სავსე შინაურ და გარეშე დაშნაკების წყალობით ობოლთა სასოწარკვეთილების სახლად ქცეული. ამხ. ორჯონიკიძემ, როგორც კავკასიაში უმაღლესი პარტიული ორგანოს (რ. კ. პ. ც. კ. კავკასიის ბიუროს) ხელმძღანელმა, აცნობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამიერ კავკასიაში არსებული მდგომარეობა. ლენინმა იმ წამსვე დასვა „ამიერკავკასიის ავადმყოფობის სწორი დიაგნოზი ამხ. ორჯონიკიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში:

„მივიღეთ თქვენი დაშიფრული ცნობა ამიერ-კავკასიის უკიდურესი მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი ზომები, ცოტა ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ მრავალგვარი დავალებანი სასურსათო კომისარიტისადმი. მაგრამ მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ჩვენ დიდ გაჭირვებას განვიცდით და დახმარებას ვერ მოვახერხებთ. დაბეჯითებით მოვითხოვ ამიერ-კავკასიისათვის საოლქო საბეურნეო ორგანოს შექმნას; წინ წასწიეთ მთელი ძალებით კონცესიების საქმე საქართველოში; შეეცადეთ თუგინდ საზღვარგარეთ შეიძინოთ თესლეული და წინ წასწიოთ მორწყვის საქმე აზერბეიჯანში ბაქოს რესურსების საშუალებით, რომ განაგითაროთ მიწად-მოქ-

მედება და მესაქონლეობა. და აგრეთვე. შეეცადოთ განავითაროთ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩრდილოეთ-კავკასიასთან. შეითვისეთ თუ არა თქვენ, ქართველო ამხანაგებო, ჩვენი ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით. წაუკითხეთ ეს მათ და ხშირ-ხშირად მომაწოდეთ ცნობები. წაუკითხეთ ჩემი წერილი სერებროვსკის ბაქოში.

ლენინი

აქ მოცემულია ამიერ კავკასიის სამეურნეო გაერთიანებისაკენ გეზის აღების არა მარტო საერთო ხაზი, არამედ ამ გაერთიანების დაუყოვნებლივ, დაუბრკოლებლად პრაქტიკულად განხორციელების პირდაპირი დირექტივა ჩვენ დასამარცხვინოდ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ეკონომიური გაერთიანების ლენინის პროგრამის თავის დროზე და მთლიანად გატარება.

ამხანაგების ერთი ჯგუფის წინააღმდეგობის გამო „მთელი ამიერკავკასიისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს“ შექმნის საქმე ჰაერში გამოიკიდება. ჩვენ 1821 წლის განმავლობაში მოვახერხეთ მხოლოთ რკინის გზების გაერთიანება და ე. წ. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატის შექმნა. ამ კომისარიატს არაფერი მიუღია ჩვენი რესპუბლიკებისაგან არც ძირითად და არ საბრუნავ ფონდში, მაგრამ მან რ. ს. ფ. ს. რ. სხვადასხვა დროს მიიღო 7 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, რამაც არა მარტო იხსნა ამიერ კავკასიის რესპუბლიკები სიმშილისაგან, მკვდარი წერტილიდან დასძრა მათი სამეურნეო აღდგენის საქმეც.

ლენინი არ დაკმაყოფილდა ზემოთ მოყვანილი დებეშებით. რამდენიმე დღის შემდეგ ისარგებლა რა ამხ ა. მიასნიკოვის სომხეთში (სომხეთის რევკომის თავმჯდომარედ) გაგზავნის შემთხვევით, მან კავკასიის კომუნისტებს გაუგზავნა წერილი, წერილი—ნიმუში იმისა, თუ როგორ ფართედ, უბრალოდ და ნათლად შეეძლო ლენინს ურთულესი პოლიტიკური და ტაქტიკური პრობლემების 7 გადაჭრა. ამხ. მიასნიკოვთან საუბრის დროს ლენინმა აღნიშნა, რომ წერილში არ არის კვლავ ხაზგასმული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საჭიროება, რადგან მან დეპეშით უკვე გაუგზავნა კავკასიელ ამხანაგებს სათანადო რჩევა-დარიგებანი.

აი ლენინის წერილიც.

აზერბეიჯანის, საქართველოს; სომხეთის, დაღესტანის, მთიელთა რესპუბლიკის ამხ. კომუნისტებს.

მხურვალედ ვესალმები რა კავკასიის რესპუბლიკებს, მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვსთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რომელიც არ უხილავს ბურჟუაზიულ სამყაროს და შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს.

მაგრამ რა მნიშვნელოვანი არ არის ნაციონალური ხავი კავკასიის ხალხების მუშებსა და გლეხებს შორის, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანია შენარჩუნება და განვითარება საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორც სოციალიზმში გადასვლის საშუალების.

ამოცანა ძნელია, ზაგრამ სავსებით შესაძლებელი. მის წარმატებით გადასაჭრელად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ მათი მდგომარეობის, მათი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურობა. ეს მდგომარეობა განსხვავდება რ. ს. ფ. ს. რ. მდგომარეობისა და პირობებისაგან. მათ უნდა შეიგნონ საჭიროება არ წაბაძონ ჩვენ ტაქტიკას, არამედ დაფიქრებით შესცვალონ ის კონკრეტულ პირობების სხვადასხვაობის მიხედვით.

საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არსად არ ჰქონებია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, ის მთელ რიგ წლების განმავლობაში იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ პოლიტიკური და მცირე რაოდენობით სამხედრო დახმარება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისგან. ეს არის ძირითადი განსხვავება.

მეორე: ანტანტის მხრით ახლა არ უნდა გვეშინოდეს თავდასხმის და ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ, დაღესტანელ, მთიელ თეთრგვარდიელთა სამხედრო დახმარების. ანტანტამ კბილები მოიმტვრია რუსეთზე, და ეს მას აიძულებს რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები—უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურად რუსეთი იყო და საგრძნობათ მოწყველი რჩება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებისგან. კავკასიას შეუძლია უფრო ჩქარა და ადვილად მოაწყოს „თანაცხოვრება“ და საქონლის გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან.

ეს ყველა განსხვავება არ არის, მაგრამ აღიშნული განანსხვავებანიც საკმაოა, რომ გაგებულ იქნას სხვა ტაქტიკის საჭიროება.

მეტი სირბილე, სიფრთხილე, დათმობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. გამოყენებული უნდა იქნას ეკონომიურად ყოველმხრივ, გაძლიერებულად, სასწრაფოდ, კაპიტალისტური დასავლეთი, კონცესიების პოლიტიკით და მათთან საქონლის გაცვლა-გამოცვლით, ნავთი, შავი ქვა, ნახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი. ასეთია არა სავსებით სრული სია აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრეთა. არის უცხოეთთან კონცესიების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის პოლიტიკის ფართედ განვითარების სრული შესაძლებლობა.

უნდა ვქნათ ეს ფართედ, მტკიცედ, გონივრულად, წინდახედულად, ყოველმხრივ გამოვიყენოთ ეს მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამეურნეო მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბამათ. ყოველი ძალით განვავითაროთ მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალები. ამისათვის იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის გამოყენებით, თეთრი ნახშირი, მორწყვა, მორწყვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ავაღორძინოთ მეურნეობა და მესაქონლობა რამდენათაც არ უნდა დაგვიჯდეს. უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატიური გადასვლა სოციალიზმში—აი რა არის შესაძლებელი და საჭირო კავკასიის რესპუბლიკებისათვის, რ. ს. ფ. ს. რ. განსხვავებით. აი რა უნდა გაიგოთ და რისი განხორციელება მოახერხოთ ჩვენ ტაქტიკისაგან განსხვავებით.

ჩვენ პირველად გვიხდებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის რკალის დარღვევა, ჩვენ ეს რკალი გავარღვიეთ. ჩვენ, დავიცავით თავი გააფრთებულ, ხებუნებრივ მძიმე და ძნელ, საშინელათ მწვავე ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდა მთელი ანტანტა, მისი ბლოკადითა და სამხედრო დახმარებით.

თქვენ, კავკასიელო ამხანაგებო, არ გჭირდებათ რკალის გარღვევა. საჭიროა მეტის სიფრთხილითა და სისტემატიურობით ახალის შექმნის ცოდნა, გამოყენებული უნდა იქნას თქვენთვის ხელსაყრელი 1921 წლის პირობები. ევროპაცა და მთელი მსოფლიო 1921 წ. უკვე არის ის, რაც 1917 და 1918 წ. იყო.

არ უნდა დაბაძოთ ჩვენს ტაქტიკას, არამედ დამოუკიდებლათ მოიფიქრეთ მისი თავისებურობის მიზეზები, პირობები და მისი შედეგები. გამოიყენეთ თქვენში 1917—21 წ. წ. გამოცდილება არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მისი სული, აზრი, გაკვეთილები. ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდნოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლას კაპიტალისტურ უცხოეთთან, ნუ იძუნწეთ: დე ათეული მილიონი უძვირფასესი მთის პროდუქტები ხვდეს მათ.

ერთბაშად შეეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხობის მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის და მორწყვის ფართე მუშაობა. მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხრივს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, გაამაგრებს სოციალიზმში გადასვლას

ბოდიშს ვიხდი ამ ნაუცბათევ წერილისათვის, რომელიც მე სასწრაფოდ უნდა დამეწერა, რომ ამხ. მიასნიკოვის საშუალებით გამომეგზავნა და ერთხელ კიდევ გიგზავნით—საუკეთესო სალამს და სურვილებს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.

მოსკოვი. 1921 წ. 14 აპრილი **ნ. ლენინი**

რკინის გზების გაერთიანებამ და საერთო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ამასთანავე გამოირკვა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო სამეურნეო გაერთიანება და აგრეთვე პოლიტიკური, სახელმწიფო ხასიათის გაერთიანებაც. თვითეული რესპუბლიკა განაგრძობდა ცალკე ცხოვრებას თავისი კარჩაკეტილი მეურნეობის ფარგლებში, მას ჰქონდა თავისი საკუთარი ფულის სისტემა, საბაჟოები და სხვა. ამან კი ზიანი მიაყენა ყველა რესპუბლიკების ეკონომიკას. გაერთიანებულ რკინის გზებს და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არ ყავდათ პირდაპირი პოლიტიკური პატრონი. ეს არანორმალური მდგომარეობა იყო და ამას ზიანი მოქონდა საქმისათვის.

საზღვრების საკითხები მოითხოვდენ მუდმივ მომქმედ ორგანოს შექმნას, რომლის გადაწყვეტილებები ავტორიტეტული და ყველა საათვის სავალდებულო იქნებოდა—ამის გარეშე ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობის და ძმური

თანამშრომლობის საქმე ვერ იქნებოდა მტკიცე. ყველა ეს გარემოებები მოითხოვდენ სამეურნეო კავშირის გაძლიერებას—ერთიანი ფულის სისტემის შემოღებას, საბაჟო დაბრკოლებების გაუქმებას და სხვას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანებას ურთიერთ შორის და დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან. იდეა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ დასმული იყო ამიერ-კავკასიის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დღის წესრიგში 1921 წ. შემოდგომაზე. რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს პლენუმის მიერ ბაქოში გამოტანილი ცნობილი გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანებისათვის დაწყებულ ბრძოლის გამოსავალ მომენტად გახდა. როგორი იყო **ლენინის** დამოკიდებულება ამ რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანების იდეისადმი? ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ამონაწერი რუსეთის კომპარტიის ცეკას მდივანის ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა მე 12 ყრილობაზე (იხ. „ოქმები„, გვ. 184):

„... ძირითადი საკითხი ამიერ-კავკასიაში — ეს არის საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ. ნება მომეცით წაგიკითხოთ პატარა დოკუმენტი, რომელიც ლაპარაკობს რ. კ. პ. ცეკას „მიერ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ გაცემულ დირექტივის ისტორიაზე.

1921 წ. 28 დეკემბერი. ამხ. ლენინი მიგზავნის მე თავის წინადადების პროექტს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. იქ ნათქვამია: 1) **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაარსება პრინციპიალურად ცნობილი იქნეს აბსოლიუტურად მისაღებათ** და ის **უეჭველად უნდა მოეწყოს. მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ეხლავე ნაადრევია, რადგან ამ საკითხის განსახილველად, სათანადო** პროპაგანდის **გასაწევათ** და **მისი ქვევიდან** გასატარებლად **საჭიროა** „**რამოდენიმე კვირა**; 2) **წინადადება მიეცეს საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს, ეს გადაწყვეტილება გაატარონ ცხოვრებაში**“. მე მიწერ-მოწერას ვაწარმოებ ამხ. ლენინთან და წინადადებას ვაძლევ მას არ აჩქარდეს, დაიცადოს და დრო მისცეს ადგილობრივ მუშაკებს, რომ მათ შესძლონ ფედერაციის ცხოვრებაში გატარება. მე მას ვწერ: „ამხ. ლენინ, თქვენი რეზოლიუციის წინაადმდეგი მე არ ვიქნები, თუ თქვენ დაეთანხმებით შემდეგ დამატებებს: სიტყვების მაგიერ „რომელნიც მოითხოვენ განხილვას რამოდენიმე კვირის განმავლობაში“ პირველი მუხლი ჩაუმატოთ: რომელნიც მოითხოვენ განსახლვრულ დროს განსახილველათ“ და სხვა, თანახმად თქვენი რეზოლიუციისა. საქმე იმაშია, რომ ფედერაციის „გატარება“ საქართველოში „ქვევიდან“, „საბჭოთა წესით“ რამოდენიმე კვირის განმავლობაში შეუძლებელია, რადგან საქართველოში მხოლოდ ეხლა ეწყობიან საბჭოები. მათი მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ერთი თვის წინათ საბჭოები საქართველოში სულ არ ყოფილან და იქ „საბქოების ყრილობის“ მოწყობა „რამოდენიმე კვირის“ განმავლობაში ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ ფედერაცია საქართველოს გარეშე მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება ორი-სამი თვე იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში „სტალინი“. ამხ. ლენინი მიპასუხებს: „**მე ვიღებ ამ დამატებას**“. ერთი დღის შემდეგ **ეს წინადადება მიღებულ იქნა და მას ხმა მისცეს ამხ. ამხ. ლენინმა, ტროცკიმ, კამენევმა, მოლოტოვმა, სტალინმა ზინოვიევი** კრებას არ დასწრებია, მის მაგიერათ დაესწრო **მოლოტოვი**. ეს გადაწყვეტილება პოლიტბიუროს მიერ ერთხმად მიღებული იქნა 1921 წ. დამლევს. ამ დროიდანვე იწყება ქართველ კომუნისტების ერთი ჯგუფის ბრძოლა ამხ. **მდივანის** მეთაურობით ცეკას მიერ ფედერაციის შესახებ გაცემულ დირექტივის წინააღმდეგ“...

ამის შემდეგ კომენტარიები ზედმეტია. ლენინი არა თუ **საჭიროთ** თვლიდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის გატარებას, არამედ ის მოუთმენლობას იჩენდა და მოითხოვდა ამ „აბსოლიუტურათ სწორ და უეჭველათ განსახორციელებელ“ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ რეალიზაციას. მაგრამ ასე არ აფასებდენ ამ გადაწყვეტილებას ზოგიერთი ამხანაგები, რომელთაც არ უნდოდათ დამორჩილებოდენ ადგილობრივ და ცენტრალურ პარტორგანოების გადაწყვეტილებებს და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფართო მასების ნებისყოფას.

ამხანაგების **ამ ჯგუფმა** დაიწყო და შემდეგაც განაგრძო ბრძოლა ისეთი ენერგიით და გაქნილობით, რომელიც სულ სხვა მხრივ უნდა ყოფილიყო მიმართული საბჭოთა ქვეყანაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ლენინის მეთაურობით შემდეგ არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ „სადაო“ საკითხის შესახებ. ასე, მაგალითად, 1922 წ. 5 აპრილს, ცენტრალურ კომიტეტს, ლენინის მონაწილეობით, გამოაქვს ვრცელი დადგენილება საქართველოს კომპარტიის მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ბრძოლა ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის და ამერ-კავკასიის მშრომელი მასების ძმური სოლიდარობა წინანდებურათ კომპარტიის ძირითადი ამოცანაა. კერძოთ, ცეკა ადასტურებს რა ერთხელ კიდევ თავის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის კომპარტიმს უეჭველად და უსიტყვოთ გაატარონ ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება“...

ამრიგათ, მშობლის უფლება ამიერ-კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოშობაზე უდაოთ ეკუთვნის ამხ. ლენინს. ლენინმავე შეიყვანა **ა. კ. ფ. ს. რ.** სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ამ ძლიერ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ერთ-ერთ მეოთხე შემადგენელ ნაწილის სახით; ამ სახელმწიფოს დაარსების იდეა ეკუთვნის მასვე.

* * *

ლენინი არ კმაყოფილდებოდა მარტო ამ დირექტივებით, ის დროგამოშვებით არკვევდა რა კეთდება, რა გაკეთდა. რა უნდა შეიცვალოს. აჩქარებდა იმათ, ვისგანაც იყო დამოკიდებული საქმის წარმატება. ამხნევებდა, საჭიროებისდამიხედვით ვმუქრებოდა მკაცრი **პარტიული** სასჯელით. მისი წერილების წაკითხვა სხვადასხვა საკითხებზე, ისეთ საკითხებზე, რომელნიც ერთი შეხედვით მისთვის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადისათვის მეტად უმნიშვნელო საკითხებს უნდა წარმოადგენდენ, ეს ნიშნავს წინასწარ განსჯვრეტის და მმართვა-გამგეობის მთელი სკოლის გავლას. ეს წერილები, ჩვეულებრივ არ არის გრძელი, მაგრამ ისინი ისეა დაწერილი, რომ რომ მათი წაკითხვის შემდეგ ვერ დაწყნარდები იმ დრამდი, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის მიერ მოცემულ რჩევა დარიგებებს. მოკლე წინადადებები თითქოს აზრებს ისვრიან — стреляют мыслями (გამოთქმა, მგონი ამხ. სტალინს ეკუთვნის), ზოგიერთი სიტყვები ხანდახან ხაზგასმულია ორჯერ, სამჯერ და კიდევ მეტჯერ.

აი, მაგალითად, ამხ. ორჯონიკიძისათვის გამოგზავნილი წერილი საქართველოს წითელი არმიის მოწყობის შესახებ.

„**ამხ. სერგო**. აბსოლიუტურათ აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებული იქნეს გადაწყვეტილება **საქართველოს** წითელი ჯარის გაძლიერების შესახებ (ხაზგასმულია აქ და ქვევით დედანში, მ. ო.), აუცილებელია აგრეთვე, რომ ეს გადაწყვეტილება გატარებული იქნეს საქმით. **უკიდურეს** შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, მაშინ საჭიროა, რომ ეს **გადაწყვეტილება** მიღებული იქნეს თუ **გინდ** საერთო **სახით**: აუცილებლათ ცნობილი იქნეს „უეჭველათ გაძლიერდეს საქართველოს წითელი არმია და ჩაბმული იქნენ ამ საქმეში სამუშაოდ ხელისუფლების ყველა ორგანოები და მშრომელი მასები“ და სხვა.

მაგრამ **ხაქმით** ყოველ მიზეზს გარეშე და **დაუყონებლივ** განვითარებული **და** გაძლიერებული უნდა იქნეს საქართველოს წითელი არმია. დეე თავდაპირველათ იყოს ერთი ბრიგადა, დეე წითელი კურსანტების რიცხვი იყოს 2—3 ათასზე ნაკლები, მაგრამ ისე, რომ მათ შორის იყოს ათას ხუთასი კომუნისტი, რომ შემდეგ ამ კურსანტებმა შესძლონ, (იქმნებიან რა კადრებათ) როდესაც **საჭირო იქნება**, გარდაიქმნან არმიათ, ეს აბსოლიუტურათ აუცილებელია.

სტალინმა შეიძლება უფრო დაწვრილებით მოგწეროთ ამ **გადაწყვეტილების სისრულეში** მოყვანის სამხედრო-ტეხნიკურ საშუალებების შესახებ.

მე მხოლოდ ვეხები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის გამოგრიცხავთ პარტიიდან **ყოველ მიზეზის გარეშე** (безо всяких). აქ ხუმბრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლიუტურათ აუცილებელია და თქვენ პირადათ და საქართველოს მთელი ცეკა პასუხს აგებთ ამისთვის მთელი **პარტიის** წინაშე. ველი პასუხს. თქვენი **ლენინი**

13 იანვარი 1923 წ. ეს ამხ. სერგოსთვისაც და საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა წევრებისათვისაც“.

„ყოველ მიზეზს გარეშე“ და ამხ. ორჯონიკიძეც და ყველა დანარჩენებიც შეუდგენ საქმეს და წინ წასწიეს ის; და თუ ეხლა საქართველოს არმია არსებობს (ჩქარა ის გახდება კორპუსათ) და თუ მას უკანასკნელი ადგილ

არ უპირავს საერთო მუშურ.-გლეხურ პარტიაში, ეს უმთავრესად ამხ. ლენინის წყალობით, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცოდა ჩვენი „მტკივნელი ადგილები; ის დარწმუნებისა და იძულების შეერთებული მეთოდით აიძულებდა იმას, ვისგანაც დამოკიდებული იყო წინ წაეწია საქართველოს მუშების და გლეხების ნამდვილი შეიარაღებული ძალის შექმნის შეფერხებული საქმე.

ანდა ავიღოთ ლენინის მეორე წერილი ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის შესახებ. ეს წერილი რამდენიმეთ იმ მახინჯი კინკლაობის გამოხატულობის პროდუქტია, რომელიც აღმოცენდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის გარშემო. მოსკოვი დათანხმდა მოეცა ჩვენთვის ერთი მილიონი მანეთი ზემო ავჭალის სადგურის ასაგებად, მაგრამ ერთ-ერთმა ამხანაგმა იმ ჯგუფიდან, რომელსაც არ სწამს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების არავითარი მთლიანობა, როდესაც ის მოხვდა სამუშაოთ რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში, პროტესტი განაცხადა ფინანსთა სახალხო კომისარიატშიც და რ. კ. პ. ცეკაშიაც სუბსიდიის მიცემის წინააღმდეგ თბილისის აღმასკომისათვის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ასაგებად. ეს ამხანაგი ამტკიცებდა, რომ თბილისის აღმასკომს ასეთი საქმეებისათვის საკმაო საშუალებები აქვს. ბუნებრივია, რომ საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკის ასეთმა ოფიციალურმა განცხადებამ შეცდომაში შეიყვანა ის მოსკოველი ამხანაგები, რომელნიც თანახმა იყვენ სუბსიდიის მიცემაზე. და აი ამხ. ლენინი 1922 წ. 16 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძეს ნაჩქარევათ სწერს წერილს:

ამხ. სერგო! სტალინიც და სოკოლნიკოვიც წინააღმდეგი იყვენ სუბსიდიის მიცემის ელექტრონის სადგურის ასაგებათ თბილისის ახლოს. კომპრომისი: თუმანოვის წამოსვლა. მოეპყარით **განსაკუთრებული** (ხაზგასმულია ორჯერ მ. ო.). ყურადღებით. გამოგზავნეთ ყველა მასალები (საქმეთა მმართველისათვის), მე გამომიგზავნეთ მთელი მასალაც და მოკლე (ხაზგასმული სამჯერ. მ. ო.) ცნობა (პირადათ ჩემთვის). თქვენი **ლენინი**".

მაგრამ სადგურის ბედი გამოსწორდა. თბილისის აღმასკომმა ცენტრიდან უკვე მიიღო სამ მილიონამდე მანეთი ზემო-ავჭალის სადგურისათვის. ჩვენი განვითარების ამ უძლიერესი კერის აგების სიამაყეს თბილისის პროლეტარიატი, ეპვს გარეშეა, გაუნაწილებს ლენინს, რომელიც არის საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე ელექტროფიკაციის გამტარებელი გენიოსი.

მ. ორახელაშვილი.

(„კომ.")

საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირი

(ამხ. ტროცკის მოხსენება თბილისის საბჭოს საგანგებო კრებაზე მარტის 11-ს)

ჩვენი მოლაპარაკება ინგლისთან.

როგორია ჩვენი ინგლისთან მოლაპარაკების ბედი?

მე მიძნელდება თუგინდ დაახლოვებითი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.

აქ უნდა ავღნიშნო მეორე შეცდომა გაზეთის მიერ ჩემი ინტერვიუს გადმოცემაში.

მე თითქო ვთქვი, რომ ამ მოლაპარაკებით ჩვენ გვსურს ჩამოვაგდოთ ინგლისის მუშათა მთავრობა.

მე ეს არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი. მე რომ მაკდონალდის ადგილას ვიყო, რაც, ვსთქვათ, არასოდეს არ მოხდება, ასეთი ინტერვიუსათვის არავის მადლობას არ ვეტყოდი, მაგრამ ახლაც, თავის ადგილზე მყოფიც, ვერ ვეტყვი მადლობას ამისთვის.

ინგლისის მუშათა კლასს ვერავინ ვერ მისცემს იმდენს, რამდენსაც ჩვენ მივცემდით, ჩვენ შევამცირებთ უმუშევრობას, გავასაღებთ ინგლისის საქონელს. ამისათვის ჩვენ უნდა მოგვცენ სესხი.

ჩვენ თუ არ ვიხდით ძველ ვალებს, ეს იმიტომ, რომ როდის იყო საერრობელიდან ჩამოვარდნილი იხდიდა ჩამოსახრჩობი თოკის ფასს (ტაში).

ჩვენ ჩვენს ვალდებულობას ვასრულებთ.

ჯერ კიდევ 1905 წელს ჩვენ პირობა დავდვევით, რომ არ გადვიხდით მეფის ვალებს და ამ პირობას ვასრულებთ (ტაში).

ჩვენ გადავიხდით. ჩვენ ვამბობთ, რომ გაძლევთ მანამდი, სანამ თქვენ გითმენენ, როცა თქვენ ჩამოგაგდებენ, მაშინ სხვას მოველაპარაკებით.

რასაკვერველია, ჩვენ არ ვფიქრობთ ინგლისის მუშათა მთავრობის ჩამოგდებას, მაგრამ რომ მას ჩამოაგდებს ინგლისის ბურჟუაზია—ეს ჩემთვის სავსებით ნათელია.

ბურჟუაზია აჯახებს მუშებს. პარლამენტში ის უმცირესობაში რჩება, მას სახელი უტყდება მუშათა კლასის თვალში და მუშა იტყვის, რატომ მივიღო მაკდონალდიდან ის, რის მიღება ლიბერალებიდანაც შეუძლიათ.

აქედან კი დასკვნა: მუშების შეძლებული ნაწილი მომავალ არჩევნებში ხმას მისცემს ლიბერალებს. დანარჩენი მარცხნით წავა.

ინგლისში მენშევიკების ბატონობა გააძლიერებს მუშათა მასებში მემარცხენე ფრთას.

მაკდონალდი ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს. მის მთავრობას სახელს უტეხენ, ააშკარავებენ მის უძლურებას.

ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდა. მაგრამ მაინც ფხიზლათ უნდა ვიყოთ.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი მომენტები.

როგორი გავლენას ახდენს ეს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ჩვენ გავძლიერდით. ჩვენ მივიღეთ ცნობა. მოულოდნელი ომის საფრთხე ჩვენ არ მოგველის და მაშასადამე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

არც მეტი, არც ნაკლები.

ბრძოლა გრძელდება, შური და მტრობა რჩება, მაგრამ დამოკიდებულობა ჩვენდამი უფრო ფრთხილია, ცბიერი, ფარისეველური.

საფრანგეთს ჩვენ ჯერ არ უცნიავართ, ის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა ევროპაში სამხედრო ძალებით.

ჩვენ არ უცნიავართ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ყველაზე უმდიდრესი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში.

საფრანგეთი ეს არის ხიშტი, შეერთებული შტატები კი—ოქრო.

თქვენ გახსოვთ ალბად პოეტის სიტყვები: Все куплю скаазало злато, все возьму сказал булат.

ამ ორ ქვეყანას ჯერ არ უცნიავართ. საფრანგეთი, როგორც ვთქვით ვაჭრულ შანტაჟს აწარმოებს ჩვენს მიმართ.

შეერთებული შტატები ინელებს იმ სიმდიდრეს, რომელიც ომის დროს შეიძინა.

შეერთებული შტატები ომში ჩაერია ვითომდა საკაცობრიო იდეალების დასაცავად, დემოკრატიის დასახმარებლად. თქვენ გახსოვთ ვილსონის პაციფიზმი, მისი ცნობილი თოთხმეტი მუხლი და სხვა მაღალი ფრაზები. ამ მშვენიერმა სიტყვებმა, რასაკვერველია არ შეუშალა ხელი, რომ ამერიკაში მოეყარა თავი მთელი ქვეყნის სიმდიდრეს.

„ჰუმანიური" სისხლის ღვრისათვის მზადება.

ახლა კი ამერიკა მხრჩოლავი გაზების უზარმაზარ ფაბრიკად გადაიქცა. ამერიკა ეხლა უწყინარ დემოკრატიულ საქმეს ეწევა—ანვითარებს ომის ქიმიურ საშუალებებს. ამერიკელები ამბობენ: წარსული ომი ბარბაროსული საშუალებებით წარმოებდა, მომავალი ომი კი ჰუმანიური საშუალებებით უნდა ვაწარმოოთო. მათ მიერ გამოგონილი „ჰუმანიური" ბრძოლის ერთი საშუალებათაგანი ასეთია: მხრჩოლავი გაზის ნაცვლად ჰაეროპლანებიდან გადმოყრიან „გამამხიარულებელი" და დამძინებელი გაზით სავსე ბომბებს. ამნაირად ამ „გამამხიარულებელი" გაზის საშუალებით მთელი რაიონების და ქალაქების „მიძინება" შეიძლება.

სამხედრო ქიმია ორ ნაწილად იყოფა: ასაფეთქებელი მასალების ქიმია და შხამიან ნივთიერებათა ქიმია. მე არ ვიცი, თუ რომელია ამ საშუალებათაგანი უფრო „ჰუმანიური" ჩვენ ვიცით, რომ ომი საერთოდ [არის უდიდესი ბარბაროსობა, მაგრამ ჩვენ მაინც ვეტყვით—კბილი კბილის წილ, გაზი გაზისთვის (ტაში) და ეს არის უმაღლესი ჰუმანიურობა, რევოლიუციონური ულმობელობა.

ჩვენ არ უცნიავართ ამერიკას, საფრანგეთი, რომელიც ლმობიერი კილოთი გველაპარაკება ვაჭრულ შანტაჟს ეწევა ჩვენს მიმართ, რუმინეთთან მოლაპარაკება ჩაშალა, ინგლისის მუშათა მთავრობა, რომელმაც გვიცნო ჩვენ, განაგრძნობს ინგლისის ძველი მთავრობის შეიარაღების პოლიტიკას.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

ის დასკვნა, რომ ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდა, მაგრამ საფრთხე არ შემცირებულა.

აი რატომ უნდა გავამაგროთ ჩვენ წითელი არმია.

ევროპის ბურჟუაზიას საშინელი საფრთხე მოელოდა იმპერიალისტური ომის დასასრულში.

ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ.

ჩვენ დიდი გამოცდილება დავაგროვეთ ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი რევოლიუციონერობა. და ჩვენ არავითარი ეშვი არ გვეპარება იმაში, რომ შევინარჩუნებთ ძალა-უფლებას და დაწყებულ საქმეს ბოლომდი მივიყვანთ.

სამეურნეო დარგში მიღებული წარმატებანი შეადგენენ წინაპირობებს ჩვენი წარმატებებისათვის სხვა დარგებშიაც.

ეკონომიური ბრძოლა ამავე დროს არის პოლიტიკური ბრძოლა საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს არის საერთო ბრძოლის გამოხატულება. ბურჟუაზია იძულებულია იცნოს ჩვენი ხანგრძლივი არსებობის ფაქტი.

ჩვენ ვვაჭრობთ, მაგრამ არ დაგვიკარგავს რევოლიუციონერობის თუნდ მცირედი ნაწილიც კი.

უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს—ეს არის ახალი წევრების მიღება პარტიაში. მუშათა კლასი ნდობას უცხადებს კომპარტიას. მუშათა კლასმა იცის, რომ ჩვენი პარტია გაუძღვება მას, დახმობს იქ სადაც ეს საჭიროა, მაგრამ მთავარს კი არ დასთმობს არასოდეს. მუშების შემოსვლა ჩვენს პარტიაში არის ჩვენი სიძლიერის, მრავალი წინსვლისა და გამარჯვების გარანტია.

მაგრამ რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ უცვნიათ ყველას, რადგან შეიარაღების პოლიტიკა კვლავ გრძელდება, ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი სამხედრო მხრივაც.

ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი სამხედრო ავიაცია, სამოქალაქო ავიაციასთან ერთად.

ჩვენ გვინდა დავიცვათ ჩვენი ქალაქები „გამამხიარულებელი", დამაძინებელი, განმანადგურებელი, „ჰუმანიური" გაზებისაგან. ჩვენ უნდა შევქმნათ საჰაერო სამხედრო რაზმები საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად.

თუ ავიაციას აქვს ქიმია, ის არის ძლიერი ჩვენ გვესაჭიროება ავიაცია, გამრავლებული ქიმიაზე. თუ ბურჟუაზიას აქვს ქიმია, ჩვენც ჩვენ-ენება ქიმია. ეს საქმე უნდა გახდეს თითეული შეგნებული მუშისა და გლეხის საკუთარი საქმე. ჩვენ გვესაჭიროება საჰაერო ფლოტი, რომელიც უნდა უზრუნველყოთ თავდასხმისა და თავდაცვის ყველა საშუალებებით. ჩვენ ღარიბი ვართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ნებისყოფა გამარჯვებისაკენ. (მქუხარე ტაში).

ომი არის ძორალური ძალა ტეხნიკაზე გამრავლებული.

არც ერთ მთავრობას არ შეუძლია გადადგას ისეთი ნაბიჯი, როგორიც ჩვენ.

გაბედონ ჩვენი წაბაძვა.

ჩვენ გავაფართოვეთ საბჭოთა ბელორუსიის საზღვრები. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბელორუსს საშუალება მიეცა იცხოვროს თავის საკუთარ რესპუბლიკის საზღვრებში. ბელორუსიის საზღვრებში ეხლა ოთხი მილიონი ბელორუსი ცხოვრობს.

რას ნიშნავს ეს სამხედრო მხრივ? სამხედრო მხრივ ეს ნიშნავს წითელი არმიის სამ ახალ კორპუსს.

თქვენ, ამხანაგებო, შესაძლებელია საყვედური მითხარით, რომ მე ვამჟღავნებ სამხედრო საიდუმლოს, ვახარებ პოლონეთს, მაგრამ, ამხანაგებო, აბა იქ, პოლონეთში კარგი ქნან და წაგვბაძონ ჩვენ! (ტაში).

ჩვენ შემოვიღეთ ტერიტორიალური სისტემა წითელი ჯარის მშენებლობაში, ჩვენ გადავდიოართ სამილიციო სისტემაზე.

ვის შეუძლია ეს ქნას? არავის, მხოლოდ ჩვენ. ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო ვერ გაბედავს სამილიციო სისტემაზე გადასვლას.

ბურჟუაზიამ არ იცის, თუ როგორ მოიქცევიან მისი ჯარისკაცები და მეზღვაურები ომის დროს, ჩვენ კი ვიცით, თუ როგორ მოიქცევიან ჩვენი წითელ-არმიელები და წითელი მეზღვაურები (მქუხარე ტაში).

ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ ვეჩვევით ვაჭრობას, მაგრამ ჩვენს რევოლიუციონურ სულს არ ვყიდით, დიახ, არ გავყიდით.

ჩვენ ისეთივე დავრჩით, როგორიც ვიყავით ღამით [1917 წლის 24-დან 25 ოქტომბერზე.

ჩვენ მზად ვართ ახალი ბრძოლებისათვის.

ჩვენ ეკონომიურ, კულტურულ თუ სხვა მუშაობაში ჩვენ იქითკენ გვიჭირავს გეზი, რომ მზად ვიყოთ იმ შემთხვევისათვის, თუ ბურჟუაზია შესძლებს კიდევ რამდენიმე ხნით შეინარჩუნოს ძალაუფლება.

მაგრამ, რომ ხვალ ევროპაში რევოლიუციონური ქარიშხალი ამოვარდეს და ევროპის მუშათა კლასმა მუდარის თვალით გამოიხედოს სულ ერთია საით: მოსკოვისაკენ თუ თბილისისაკენ, ჩვენ გვნახავს ის ძველ, ფოლადისებურ მებრძოლებათ, ლენინელებათ, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ, როცა ეს საჭიროა.

ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს:

პროლეტარიატის გამარჯვების ჰანგებს უერთდება მქუხარე ტაში, ვაშას ძახილი და ყიჟინა ქანდარებიდან და დარბაზიდან:

სალამი ტროცკის!

სალამი წითელი არმიის უდიდეს ბელადს!

სალამი პროლეტარიატის სახელოვან ხელმძღვანელს!

მუშათა წერილები

ტარიელ მკლავაძენი თბილისის საყუდში „დეპოში".

ორქმავალთა გუნდის ერთი ჯგუფი ისეთს სამარცხვინო საქმეს ჩადის, რომ ყოვლად დაუშვებელია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს მცირე ჯგუფი ორქმავალთა გუნდისა იმდენათ გთავაზდდდა, რომ არავის ანგარიშს არ უწევს. მათ მუშაობას შეადგენს ლოთობა, გარყვნილება და ჩხუბი და თუ მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული, ვშიშობ, რომ ამ ჯგუფმა კიდევ ჩაითრიოს თავის წუმპეში უფრო სუსტი ხასიათის ამხანაგები.

უმრავლესობა ხსენებული გუნდისა ჩვენდა სასიხარულოდ საბჭოთა აღმშენებლობაშია ჩაბმული და ყოველნაირად ხელს უწყობს მას. ამზადებს თავის ამხანაგებს ტეხნიკურათ, ათვითცნობიერებს მას, ითვისებს და ერკვევა ახალ აზროვნებაში, იძენს ცოდნას და ყოველივე ამას უნაწილებს თვის შედარებით უფრო სუსტს ამხანაგებს და, რა თქმა უნდა, შეაქვს თავის წვლილი საბჭოთა აღმშენობებლაში და მის გამტკიცებაში, რასაც სიამოვნებით ავღნიშნავთ.

ვერაფერს ამის მგზავს ვერ ვიტყვით იმ ჯგუფზე, რომელსაც მიზნათ დაუსახავს მხოლოდ და მხოლოდ ლოთობა, გარყვნილება და ჩხუბი წარმოებაში და კერძოთ. ყოველივე ამ გაბოროტებულებას თან ერთვის ამ ჯგუფის მეშჩანური აზროვნება, სახელდობრ ის, რომ, ვინც მაზე ნაკლებ ხელფასს ღებულობს, მას ზეციდან დასცქერის, მას ჰგონია, რომ ადამიანის ღირსება მხოლოდ ჯამაგირებით და ფულით განიზომება.

აქ სრულებით იკარგება მუშური აზროვნება და ადგილს იჭერს მეშჩანური წუმპე. ეს კიდევ ცოტაა მათ ყოველ დღიურ თვისებას და მოთხოვნილებას შეადგენს ვისიმე ცემა, დამცირება ამ მხრივ ძალიან დახელოვნებულია ხსენებული ჯგუფის ბელადი ვალ. ფირცხალავა პროფესიით მემანქანე, რომელმაც ბრწყინვალეთ შეასრულა თავისი მხეცური მორიგი გამოსვლა 19 აპრილს. ის მოვიდა საყუდში ღვინით გალეშილი ჯამაგირების დარიგების დროს და ყოველად დიუმსახურებლად სცემა რონოდების ფარენის ზეინკალს მამაჯანაშვილს და რომ მას გაქცევით არ ეშველნა თავისთვის, შესაძლოა მოეკლა კიდეც. ასეთი უმგვანო გამოსვლა ფირცხალავასი პირველი როდია. მან ამას წინათ კინალამ სიცოცხლეს გამოასალმა მემანქანე სტეპოევი სამორიგეო ოთახში. მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ ყოველივე ამას ეხმება ჯვარი. სჩანს მფარველები ჰყავს ამ ვაჟბატონს ჩვენებურ—ტარიელ მკლავაძეს მე მივაქცევ ადგილკომის და იმ კორპორაციის ყურადღებას, რომელსაც ის ეკუთვნის ამ ყოველად დაუშვებელ და სამწუხარო მოვლენაზე, რაც ჩირქსა სცხებს საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთი გმირები უნდა გაიდევნონ ჩვენი რიგებიდან, მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მუშათა რიგებში. შორს ამისთანა ტარიელები მუშათა ოჯახიდან!

ნ. ჩლაიძე.

1-ლი მაისი და პროლეტარული ახალგაზრდობა.

დასავლეთ ევროპის პროლეტარული ახალგაზრდობა კვლავ განიცდის ნაწილობრივად დრომოჭმული ინტერნაციონალის გავლენას. პირველ მაისის დღესასწაულის დროს პროლეტარული ახალგაზრდობის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად აღიმაღლოს ხმა მილიტარიზმისა და ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. ამ დღეს ევროპის ახალგაზრდობის გამოძახილს მხარი უნდა დაუჭიროს რუსეთის პროლეტარულმა ახალგაზრდობამაც, რომელზედაც მსოფლიო რევოლიუციის პიონერი ვლადიმერ ილიჩი ოქტომბრის გადა-

ტრიალების სამზადისის დროს დიდ იმედებს ამყარებდა.

ევროპის პროლეტარულმა ახალგაზრდობამ უნდა მოითხოვოს თავისი უფლებები, რომელიც გამოიხატება ფაშისტური ორგანიზაციების, 8 საათიანი სამუშაო დღისა და 2-რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ოპორტიუნისტული პოლიტიკის მოსპობაში.

ამ დღეს მთელი მსოფლიო პროლეტარული ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც ამ რამოდენიმე წლის უკან, პირველი მაისის დღესასწაულს ისტორიული გაუგებრობის ნიადაგზე, იყენებდა საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგოთ.

გამარჯვებანი, რომელიც გამოიხატება საბჭოთა ხელისუფლების სხვა და სხვა მიღწევებში, დღეს დამამტკიცებელია იმისა, რომ ძლევა-მოსილ პროლეტარიატს შესძლებია თავისი სახელმწიფოს შენებისა და აღორძინების წარმოება.

ამავე პროლეტარიატმა პროლეტარული ახალ გაზრდობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თავისი ძმური ხელი უნდა გაუწოდოს საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის ჩატარების დროს ევროპის სამრეწველო პროლეტარიატს.

შ. ს.

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

გზა სადგურ იორას და საგარეჯოს შუა, ისეთ უკიდურეს მდგომარეობაშია, რომ როცა ორთქმავალს მიჰყავს მატარებელი ადვილათ შეიძლება შევადაროთ იმას, როცა ორთქმავალით გემი მიდის ზღვის ტალღებზედ დიდ ქარბუქში; რის გამო, როგორც ორთქლმავლები, ისე რონდები ძლიერ ფუქდებიან. ამიტომ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ყურაღღება მიაქციოს იმან, ვისაც ეს შეეხება. თუ ეს გზა არ შეკეთდა, ადვილათ შეიძლება მატარებელი ჩავარდეს და მოხდეს დიდი უბედურობა. საზოგადოთ კახეთის რკინის გზა საქებურ მდგომარეობაში არ არის, მაგრამ ამ მოკლე ხანში ცოტათ თუ მეევრათ დანარჩენი გზები შეაკეთეს. გზის გაკეთებას იორსა და საგარეჯოს შუა არ მიეცა საშველი. რაშია აქმე?

მემანქანე.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

* * *

წარსულ კვირას ყურადღების ცენტრად ისევ ლონდონის კონფერენცია რჩებოდა.

სამწუხაროდ ამ კონფერენციის მუშაობა ძალიან ცუდ ადგილას შეწყდა საიმედგომო უქმეების გამო. არ მოგვეპოვება საჭირო მასალა რაიმე დასკვნის გამოსატანად. მაკდონალდის დეკლარაციული სიტყვა და რაკოვსკის პასუხი, ბანკირების მოთხოვნილება და პრესის აზრი, აი მთელი მასალა ამ კონფერენციის შესახებ.

ბანკირების მოთხოვნილება საშინელია. მას უპირდაპირდება ამბ. ზინოვიევის და ტროცკის განცხადება. ბანკირების მოთხოვნილება ჩვენ სრულიად გვქონდა მოყვანილი წინა კვირეულში, ახლა მოვიყვანოთ საყურადღებო ადგილები ამ მოთხოვნილებათა შესახებ გ. ზინოვიევის და ტროცკის სიტყვებიდან, რომელიც მათ წარმოსთქვეს რკინის გზელთა ყრილობაზე.

* * *

ზინოვიევი ამბობს: ინგლის სიბჭოთა კავშირის კონფერენციის გახსნის დღეს - ინგლისის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ინგლისის 6 დიდ ბანკირის მემორანდუმი, რომელსაც აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე იმ დღესვე მაკდონალდის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ვინაიდან მაკდონალდი დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, ხოლო ბანკირები რა თქმა უნდა, აგრეთვე წავლენ, მაგრამ მაკდონალდზე უფრო გვიან. ბანკირები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთისაგან სახელმწიფო და კერძო ვალების ცნობას, შეთანხმებას უცხოელების კერძო საკუთრების საკითხში, საბჭოთა კავშირში ნორმალურ სამოქალაქო კოდექსის შექმნას და დამოუკიდებელ სასამართლოს დაარსებას, კერძო ხელშეკრულებათა ხელშეუხლებლობას, გარანტიებს იმისას, რომ კერძო საკუთრებას მომავალში არ მოელის საბჭოთა კავშირში კონფისკაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას.

ფაქტიურად ეს მოთხოვნილებები ნიშნავს შემდეგს: თუ ჩვენ დავთანხმდებით კერძო და სახელმწიფო ვალების ცნობაზე, ჩვენ მოგვთხოვენ, ცოტა რამეს, სულ 12 ნახევარ მილიარდ ოქრ. მანეთს.

მეორე მუხლი ფაქტიურად ნიშნავს ყოფილ უცხოელ კაპიტალისტების კერძო საკუთრების აღდგენას. რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციამდე მოქმედებდა 112 დიდი ინგლისური წარმოება, რომელთა ძირითად თანხას შეადგენდა 1 მილიარდი ოქროს მანეთი. ზოგიერთი ეს წარმოებები ამჟამადაც მუშაობენ. ბატონი ბანკირები მოითხოვენ ამ წარმოებათა დაბრუნებას ყოფილ მესაკუთრეებისათვის.

მესამე მუხლი — განსაკუთრებულ სამოქალაქო კოდექსის და დამოუკიდებელ სასამართლოების შექმნას. დამოუკიდებელი სამამართლოები ქვეყანაზე არ არსებობენ. სასამართლოები ყველგან დამოკიდებულნი არიან: ინგლისში — ბურჟუაზიისაგან, ხოლო საბჭოთა კავშირში მუშათა კლასის და გლეხობისაგან. დამოუკიდებელ სასამართლოების მოთხოვნა უნდა გავიგოთ როგორც ბურჟუაზიულ სასამართლოების აღდგენა.

მეოთხე მუხლში ბანკირები მოითხოვენ ჩვენგან გარანტიებს იმისას, რომ მათ მიერ დაბანდებული თანხები,საუკუნოთ ხელშეუხებელი დარჩება. განა ეს სასაცილო არ არის რუსეთის რევოლიუციის შემდეგ? ინგლისის ბანკირებმა მისცეს რუსეთის მეფეს და რუსეთის ბურჟუაზიას სესხად მრავალი მილიარდები; რადგან დარწმუნებულნი იყვენ, რომ კერძო საკუთრების პრინციპი რუსეთში სამუდამოდ შეურყეველი და ხელშეუხებელი იქნებოდა. რა გამოვიდა აქედან — ჩვენ ეს კარგად ვიცით. ვერავითარი გარანტიებმა ვერ უშველეს. ფაქტიურად ბანკირები მოითხოვენ ჩვენგან რეჟიმის შეცვლას. ასევე ესმის ბანკირების მოთხოვნილება ინგლისის პრესასაც.

მაგრამ ჩვენ იმისთვის კი არ მოგვიხდენია დიდი რევოლიუცია და რამდენიმე წელიწადი იმისთვის კი არ გვიბრძოლია, უცხოეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ეხლა შევცვალოთ რეჟიმის 6 ბანკირის სურვილისამებრ. თუ მივიმჩნევთ, რომეს არის ინგლისის უკანასკნელი მოთხოვნილება, უნდა ვაღიარეთ, რომ ლონდონის კონფერენციიდან არაფერი არ გამოვა. შესაძლოა ეს ასეც მოხდეს, ჩვენ ამისათვის მზადა ვართ, ჩვენ გვინდა სესხი ავიღოთ ინგლისისაგან, წავალთ სერიოზულ დათმობაზე და გადავიხდით პროცენტებს, მაგრამ ჩვენს დამონავებაზე ხელს არ მოვაწერთ.

რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა, იგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინად.

დრო ბევრი გვაქვს. ღრმად სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ საჭიროა მივიღოთ დამონავების პირობები. თუ ჩვენ ბანკირების მემორანდუმს სერიოზულად მივიმჩნევთ, მაშინ საქმე ჩაშლილად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს ვაჭრებთან, მათ მუშტრების გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, და ადრე თუ გვიან უფრო სერიოზულად დაიწყებენ ლაპარაკს და სერიოზულ დათმობაზე წავლენ, მაშინ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს მიიღებს თუ არაფერი გამოვა დაცდით.

აღნიშნა რა ზინოვიევმა რომ მაკდონალდი ისე იმუქრება, როგორც ინგლისის წინანდელი მთავრობანი, დაუმატა.

მაკდონალდს სერიოზული არაფერი აქვს: კაპიტალი ცოტა აქვს, გავლენა მმართველ წრეებში ცოტა აქვს და თუ სახელმწიფოს სათავეში დგას იმიტომ, რომ ეს სასარგებლო იყო ინგლისის ბურჟუაზიისათვის, მისთვის კი სასარგებლო იყო, რომ საბჭოთა რუსეთი იცნო მუშათა მთავრობამ.

საერთოდ კი, — დასკვნის, ორატორი:

ჩვენი ბედი აქ, ჩვენში წყდება. ამ ბედს წყვეტს ჩვენი სამეურნეო მშენებლობა. მე ვფიქრობ, რომ თქვენს ყრილობაზე კოოპერაციის შესახებ დასმულ კითხვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მაკდონალდის მიერ ჩვენი შეშინების ცდას.

* * *

როგორც მკითხველებმა იციან, ლონდონის კონფერენციის გარშემო კონსერვატიულმა პრესამ დიდი განგაში ასტეხა. საბჭოთა დელეგაციის 20 წუთით დაგვიანება საკმარისი შეიქნა მათთვის, რომ ეს დაგვიანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოეყენებიათ და ათასგვარი ჭორი შეეთხზათ. არის ერთ მიმართულების პრესა ინგლისში, რომელსაც სურს მოლაპარაკების კარგი შედეგი ექცეს.

დემოკრატებისორგანო „ნიუიორკიუ-ორლდ" სწერს „კერზონს და იუზს საბჭოთა კავ-

შირის მიმართ ისე ეჭირათ თავი, როგორც გამოუცდელ ხალხს, რომელთაც საქმე აქვთ დინამიტთან, სასიამოვნოა, როცა ხედავ თუ როგორ "გონივრულათ ელაპარაკება რუსებს მაკდონალდი".

* * *

„იურაიტედ პრესს" ის ამერიკულ კორეს-პოდენტთან საუბრის დროს ამბ. ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსეთის დამოკიდებულება დანარჩენ ქვეყნებთან არ იქნება ნორმალური იმ დრომდი, სანამ ეს სახელმწიფოები არ მიგვიღებენ ჩვენ ისე, როგორაღაც ჩვენ ვარსებობთ სინამდვილეში. ჩვენ არ მოვითხოვთ ბურჟუაზიული მთავრობებისაგან, რომ ისინი გახდენ კომუნისტურ მთავრობებათ, მაგრამ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას დავრჩეთ კომუნისტებათ და ვფიქრობთ, რომ ყველაზე უფრო საიმედო კონტრაგენტები ვიქნებით ვალდებულებათა შესრულების საქმეში, რადგან ჩვენ ვართ სრულიად მტკიცე მთავრობა, რადგან საბჭოთა კავშირის სწორი ეკონომიური დამოკიდებულება დანარჩენ ქვეყნებთან აუცილებელი პირობაა ჩვენი და საერთაშორისო მეურნეობის განვითარებისათვის.

იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ომი საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის შორის, ამბ. ტროცკიმ განაცხადა. ომის დაწყებას ჩვენ არ ვფიქრობთ. ვენის მოლაპარაკების ჩაშლა კი ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირი კატეგორიულათ უარს ამბობს იცნოს რუმინეთის მიერ ბესარაბიის ძალადობით და მტაცებლურათ დაპყრობა.

* * *

საპროგრამო სიტყვებში, რომელიც წარმოსთქვა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წლიურ კონფერენციაზე მაკდონალდმა ხაზი გაუსვა მუშათა პარტიის გაწვრთნილობას და ძლიერობას და აღნიშნა, რომ საერთო საპარლამენტო არჩევნები არ დარჩება საჭირო ორი-სამი წლის განმავლობაში. ამ ვადით მუშათა მთავრობა ისარგებლებს მუშათა პროგრამის განსახორციელებლად. როგორც მუშათა მთავრობის პოლიტიკის დადებითი შედეგი, მაკდონალდმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის ცნობა და ხელის აღება სინგაპურში საზღვაო ბაზის აგებაზე. შემდეგ მაკდონალდმა იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთ-ინგლისის კონფერენცია შესაძლებლობას მისცემს „მრავალ მამაკაცსა და დედაკაცს, რომლებიც წინათ პატიოსნათ ვაჭრობდენ რუსეთთან, უკან მიიღონ უკანასკნელ წლებში დაკარგული ფულის დიდი ნაწილი".

შემდეგ მაკდონალდი შეეხო საბინაო საკითხს და მოწოდებით მიმართა წვრილ ბურჟუაზიას მუშებთან ერთად მიიღონ ზომები მრეწველობის „მდგომარეობის შესაცვლელად", რათა მომავალში გაფიცვებს ადგილი არ დაურჩეს და საფუძველი ჩაეყაროს მუშების და მრეწველების თანამშრომლობას.

საგარეო ურთიერთობათა სფეროში ახალი ხაზი იქნება გატარებული. ინდუსებმა არ უნდა დაჰკარგონ ინგლისის მუშათა პარტიის რწმენა. მთავრობა ყურადღებით მოეპყრობა ინდოეთის ხალხის ყოველგვარ განცხადებებს და წინადადებებს.

მეორე სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მაკდონალდმა კონფერენციის მეორე დღეს, მან განაცხადა: „ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ, ეს—დავარწმუნოთ მთელი მსოფლიო, რომ მუშათა მთავრობა „ხელსაყრელი ორგანოა". მე არაფერი მაქვს იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენს მთავრობას და პარტიას უწოდონ სოციალისტური, მაგრამ უნდა ვაღიარო, ასეთი სახელწოდება მე არ მომწონს.

მუშათა კლასი ვვიწოდებს ჩვენ მუშათა პარტიას და ამრიგათ თითქო მისტიური გზით გვაკავშირებს ჩვენ თვით ხალხის უბრალო და დიდ გულთან".

წერილები პროვინციიდან

ნუ გცხვენიათ.

ჩვენ გამოველით მენშევიკური პარტიიდან და მივედით კომუნისტურ პარტიასთან ვიცავთ სასტიკათ და დაუღალავი ენერგიით საბჭოთა ხელის უფლებას, ესე იგი, მუშურ გლეხურ უფლებებს, ვიცავთ იმას, რისთვისაც ჩვენ არ ვერიდებოდით არავითარ გაჭირვებას, დაკინვას, დასჯას, აბუჩათ აგდებას, ვიღაც ულირსი ქანდარმისაგან, და სხვადასხვა. ის ძველი წამება, რომ გაითვალისწინო და ყველას ერთათ რომ მოუყარო თავი და დააყენო კითხვა შენს წინაშე, მაშინ უნდა გრცხვენოდეს რა ღდეს მოესწარი, რა გიჭირავს ხელში, რა უბედურება გადიტანე და რას ვერ შერიგებიხარ დღეს და ვის ებრძვი, ვის გულს და სულს ახარებ შენი ურჩობით და ხელის შეშლით საბჭოთა ხელის უფლების განმტკიცებისათვის. მე რომ მკითხოთ, აქ უნდა გვრცხვენოდეს და არა იქ, სადაც შენი პირდაპირი საქმე კეთდება. რას ემდურით კომუნისტურ პარტიას, ვერ გაამართლა მუშების და გლეხების ინტერესები თუ რა? რას ემდურით კომპ. ვერ გათოხნა თქვენი ყანა თუ რა?

რომ ემდურით კომპ., ვერ მოგამორათ თქვენი მტერი მუქთა ხორები თუ რა? მე გელაპარაკებით, რომ კომპ. ყველაფერი ის, რაც შესაძლებელი იყო დღევანდელ პირობებში, ყველაფერი პირნათლათ შეასრულა, მუშების და გლეხების საქმე საგრძნობლათ გამოასწორა და ახლო მომავალში შეძლებს მთელი ასი პროცენტით გამოასწოროს, და ეს რომ ასეა ამას დღეს მთელი კაცობრიობა ამტკიცებს, და შენ რისი გრცხვენია, რას იმალები, გამოაჩინე შენი სახე, თქვი სიმართლე. ნუ ჯიუტობ, ნუ წითლდები, ნუ იხევი უკან, გასწი წინ, მიდი და ხელი გაუწოდე შენ ძმას მუშას, კომუნისტს, და ერთი გზით, ერთი ხმლით შეუტიე მტერს, თუ ასეთი ოდეს იქნეს საჭირო.

მე თქვენს მდგომარეობაში შევდივარ, პირველათ რაღაც ძნელია სხვისი გაკეთებული სახლში შესვლა და იქ უფლებების აღდგენა, და აქვე უნდა აღინიშნოს, ისეთი სახლშიც, რომლის შენების დროს, მეორე ძმას ხელის შესაშლელათ თოფი და ზარბაზანიც არ ეშურებოდა და ესვრიდა კიდეც; მაგრამ მე ისეთი ძმებიც მინახავს, ერთმანეთს სისხლით ემუქრებოდენ, მაგრამ დროთა ვითარებამ ისინიც შეარიგა, და ბოლოს ისეთი მეგობრო კავშირი ჰქონდათ, რომ მათი წინააღმდეგ ვერავინ ბედავდა ბრძოლას. იყვნენ მომდურებული, მაგრამ შერიგდენ.

ეხლა სინამდვილიდან მომისმინეთ, მე ხშირათ მიხდება გამოსვლა თემებში მიტინგებზე, ქარხნებში ამბ. მუშებთან, თითქმის ყოველ დღე კრებებზე ვარ და შეძლების დაგვარათ ვმუშაობ და ვადარებ უწინდელ ჩემი მდგომარეობას კრებაზე ყოფნისას და ეხლანდელს და ვამტკიცებ, რომ ეხლა უფრო გაბარებულია და მშვიდობიანათ მისმენენ, ვინემ მაშინ, როცა მე ვაკეთებდი მოხსენებას ბოლშევიკების წინააღმდეგ და ვქმნიდი გაუსწორებელ თხრილს ამ ორ ძმათა შორის. თქვენ, ჯერ კიდევ რომლებიც დგეხართ ძველ გზაზე, ვერ გაგიბედნიათ გამოსვლა ხალხის წინაშე, თორემ სინამდვილეში მე ვიცი თქვენ, რომ ძველი გზა არ გწამთ და ვერც მიაღწევთ მიზანს. მხოლოთ ხელს გიშლით სირცხვილი, მაგრამ ბოლოსდა-ბოლოს, აბა, რა უნდა ქნათ, თუ გადაიჭრებითი უფსკრულში, გზაც იქით გქონიათ, ამაზე ჩვენ შავებს არ შევიკერავთ, მაშ აქეთ უნდა გადმოიჭრათ და გეკითხებით: რისი გრცხვენიათ, მუშებთან მისვლის? ეს სრულებით არ არის სასირცხო, სასირცხო იქნება თუ თქვენ თქვენი მთელი ნაშრომს შეწირავთ კომპ. ჯინაზე შავ რეაქციას, რომელსაც თქვენთან ერთათ ჩავახშობთ ცეცხლით და მახვილით.

მაშ ნუ გრცხვენიათ, გულაბდილათ მოდით ჩვენს რიგებში და და ვიმუშაოთ ერთათ ერთი წითელი კომუნისტური დროშის ქვეშ და ამით თავზარი დავცეთ, უკვე თავზარ დაცემულ ჩვენს საერთო მტერს ბურჟუაზიას.

კ. **შენგელია.**

თ ე ლ ა ვ ი.

ამ ბოლო ხანებში მთელ კახეთში მოვიდა თოვლი, დაიწყო სასტიკი სიცივეები, რამაც მოსწვა აყვავებული ხეხილი.

მტკიცე კურსის შექმნას როგორც იყო ვეღირსეთ, ძლივს დაისვენა როგორც გლეხმა და მუშამ, აგრეთვე მოსამსახურეებმაც, მაგრამ როგორც დროებითი მოვლენა, ჯერჯერობით დიდ გასაჭირს განიცდის მთელი ბაზარი წვრილი ფულის უქონლობის გამო. ბონი თითქმის გაქრა ასპარეზიდან, ჩერვონეცები, რომელიც ოფიციალ. კურსით ღირს 125.000.000.000 მანეთი ბაზარზე იყიდება 100 ან 80 მილიარდათ. თუ ასე გაგრძელდა მოსამსახურენი მეტათ ცუდ პირობებში ჩავარდებიან, საჭიროა ხაზინას წვრილი ფული მოაშველოს მთავრობამ, რათა თავიდან ავიცილოთ ეს კრიზისი.

ივ. დ.

ხმა გურიიდან.

თითმის ერთი წელი სრულდება, რაც მენშევიკური პარტიის რღვევა დაიწყო საქართველოში, პირველ ხანებში ამ გარემოებას ბევ

რი ვერ შეეგუა. რადგან არალეგალური ცეკა მრავალგვარ ჭორებს ავრცელებდა იმ ამხ. ბის მიმართ, რომლებმაც დაგმეს მენშევიკური პარტია, და ამასთან ერთათ ათას გვარ ცრუ ბრალებით კვლავდენ ხალხს, რომელნიც კიდევ მათ უჯეროდა, ასეთივე მდგომარეობა იყო გურიაშიც, ბევრი გულუბრყვილო შეცდომაში შედიოდა და ვერ დაეჯერებია თუ მართლაც სოც. დემოკრ. მუშ. პარტია საქართველოში გაკეთრდა, გარდაიქცა პირწავარდნილ „დემოკრატიულ ბურჟუაზიულ პარტიათ და აშკარა ქართველ მშრომელთა დამლუპველათ. თანაც უნდა ითქვას, რომ გურიაში ვერ იყო სათანადოთ ჩატარებული ლიკვიდაცია: სათემო სარაიონო და სამაზრო კომპანიები, რის გამო ბევრი მენშევიკები დარჩა ამ კამპანიის გარეშე, დღესაც არიან ასეთი ამხანაგები, რომლებიც არც აქეთ არიან და არც იქით, არიან თავისთვის და რათა ისინი იქნას აქტიობაში ჩაბმული, საჭიროა ამ მხრივ მუშაობა. მაგრამ სამწუხაროთ ყოფილ მენშევიკებისაგან ასეთი არაფერი არ არის გურიაში, სასურველია დრო გამოშვებით ესტუმროს გურიას ს. ფარნიევი და სხვა ამხანაგები თავიანთი მოხსენებებით. სეით დევდარიანის გამოსვლამ ხომ ერთიანათ გადიბარა დარჩენილი პარტიის წევრნიც თუმც სეითმა გარკვეული პოზიცია ვერ მოგვცა, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ისიც აღიარებს მენშევიკური ტაქტიკის უარგისობას მუშათა კლასისათვის და მეორე ინტერნაციონალის არარაობას. საქართველოს მენშევიკურ პარტიის ასეთი ავტორიტეტიანი და ცნობილი ადამიანის გამოსვლამ, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა ამ პარტიაში კიდევ დარჩენილ ამხანაგების უმრავლესობაზე და ისინიც სეითის შემდეგ უყოყმანოთ დადგენ მე-3 ინტერნაციონალის პლატფორმაზე. თავისუფლათ ითქვას, რომ გურიაში ეხლა აღარ არსებობს მენშევიკური პარტიის ორგანიზაცია თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ-სამ მალულს, რომელნიც დასტირიან თავიანთ დაკარგულ პორტფელებს. ეს ყმაწვილები ჩვეულებრისამებრ გაიძახიან იმ ამხანაგების გამყიდველობაზე, რომელთაც დაგმეს მენშ. პარტია სხვა აბა რაღა ეთქმით თუ ასეთი ლანძღვა გინებით არ შეეცდებიან ერთხელ დაწყებულ სტიქიურ რღვევის შეჩერებას. მაგრამ კარგათ იცოდენ, რომ ამ რღვევას ვერაფერი ვერ შეაჩერებს, რადგან ის ისტორიული სინამდვილედგან არის წარმოშობილი. საკვირველია რისი იმედიღა დარჩენიათ მათ, მენშევიკური პარტია, როგორც ასეთი აღარ არსებობს საქართველოში, მასის 90 პრო. კომპარტიამ გადიბარა თავისაკენ თავისი, კულტურულ ეკონომიური აღმშენებლობით და დღითი დღე მტკიცდება მათი გავლენა, როგორც ადგილობრივ მასაში, ისე ევროპის ფართე მუშათა კლასშიც. ახალგაზრდობა ხომ სრულიათ კომპარტიისაკენ მიიღტვის. უკვე დროა, რომ მათაც მოვიდნენ გონს, სანამ გვიან არ არის და დაანებონ თავი პორტფელებზე ოცნებობას; შეეგუონ მუშათა კლასის დიკტატურას და იმუშაონ მისი განმტკიცებისათვის.

დარელი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ **ფულის** რეფორმა დაუბრკოლებლივ ტარდება. საქონლის ფასებმა ყველგან დაიწია 15-25 პროცენტამდე. ხურდა ფულის ნაკლებობა საგრძნობი არაა.

◆ **მუშების** მოთხოვნით აღდგომის უქმე დღეები შრომის კომისარიატის მიერ მოხსნილია. 26 და 28 აპრილი სამუშაო დღეა.

◆ **1, 2, 3, 4 მაისი** შრომის კომისარიატის მიერ გამოცხადებულია დასასვენებელ დღეებად. ამ დღეებში მუშაობა წარმოებებში არ იქნება.

◆ **ახალგაზრდა** მარქსისტების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია ორგანიზაციიდან გამოსვლის და პროლეტარიატის დიქტატურის ქვეშ დადგომის შესახებ.

◆ **მიღებული ცნობებით** საფრანგეთის მთავრობას საფრანგეთიდან გაუძევებია პოეტ ნ. მიწიშვილი, რომლისთვისაც აქედან გადახვეწილ მენშევიკებს დაუბრალებიათ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილის ავტორობა.

◆ **5 მაისს** ქ. თფილისში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების მესამე ყრილობა.

◆ **თფილისის** კომპარტიის საქალაქო ყრილობა უკვე შესდგა. ამ ყრილობაზე მოხდა პარტიის მთლიანობის დემონსტრაცია.

◆ **30 აპრილს** ბაქოში შესდგება ამიერკავკასიის პროფკავშირთა მორიგი ყრილობა. საქართველოს დელეგატები თბილისიდან ბაქოში გაეშგზავრებიან 28 აპრილს განსაკუთრებული ვაგონით.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ:

◆ **ლონდონში** საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციის მუშაობა სააღდგომო უქმეების გამო შეწყვეტილია.

◆ **ზინოვიევმა** რკინის გზელთა ყრილობაზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ლონდონის კონფერენციაზე დათმობაზე წავა, მაგრამ არას შემთხვევაში არ დაეკმაყოფილებს ბანკირების მოთხოვნილებასო.

◆ **ტროცკიმ** იმავე რკინისგზელთა ყრილობაზე განაცხადა: მოგვცემენ სესხს,—კარგი არ მოგვცემენ—გავძლებთ უამისოდაც. წავალთ წინ ნელი ნაბიჯით და აღვადგენთ მეურნეობას 3—4 წლის ნაცვლად 10 წლის განმავლობაში. თან დაუმატა: ჩვენი იმედი—ჩვენი ჯარიაო. პუანკარე ომს ვერ გაბედავსო და თუ გაბედა კისერს მოიტეხსო.

◆ **28 აპრილს** ფლორენციაში (იტალიაშია) უნდა გახსნილიყო რკინის გზათა საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც უნდა დაესწროს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელიც.

◆ **გერმანიაში** გაფიცვების ტალღა იზრდება. ზოგან მუშებმა უკვე გამარჯვებას მიაღწიეს. საერთოდ გერმანიაში ძლიერდება მუშების შეტევა კაპიტალზე.

◆ **საფრანგეთში** უკვე დაიწყო საარჩევნო კომპანია. მაისში მოხდება საპარლამენტო არჩევნები. შემდგარია მემარცხენეთა ბლოკი. რადიკალ-სოციალისტები და კომუნისტები ერთად გამოდიან.

◆ **პუანკარემ** განაცხადა, რომ რური ყოველ შემთხვევაში ორი წლის განმავლობაში დარჩება საფრანგეთის ოკუპაციის ქვეშ გარანტიის სახითო.

◆ **კომინტერნის** აღმასკომმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს პოლონეთის ჟანდარმების მიერ მუშების მიმართ ჩადენილ ტერორის საშინელებათა გამო.

◆ **ბერლინიდან** მიღებულ ცნობით ამ უკანასკნელ დროს გაკოტრებულად გამოაცხადეს 17 ბანკი. ეს მომასწავებელია ფინანსიური კრახის.

◆ **ლენინგრადში** აღმოჩენილ იქნა ჯაშუშების ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლონეთის დელეგაციის თანამშრომელი ლიახოვიცკი.

◆ **მაკდონალდმა** პარლამენტში განაცხადა: „მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ ჩვენს პარტიასა და მთავრობას „სოციალისტური უწოდონ, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი სახელწოდება მე არ მომწონს.“

წერილები რედაქციის მიმართ.

„ჩვენ სამურზაყანოს მაზრის ს. დ. მ. პ-ის წევრები სამარცხვინოთ და დასასამარებლათ ვსთვლით იმ მოქმედებებს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში უსირცხვილოდ ეწეოდა არალეგალური ცეკა. ჩვენ ვვმობთ ასეთი საშუალებებით ბრძოლას კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ღრმად ვვრწამს, რომ ბანდიტებთან კავშირით და რევოლიუციის მტრებთან ბლოკში, პარიტეტულ კომიტეტით, ჩვენ ვერ მივაღწევთ, ჩვენ საბოლოო მიზანს სოციალიზმისს დღეს ჩვენ ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ 25 აგვისტოში აღებული გზა მე-III ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით არის ერთად ერთი გზა სოციალიზმის განსახორციელებლათ.

დღეიდან ჩვენ ღრმა შეგნებით ძალდაუტანებლათ ვსტოვვთ ს. დ. მ. პ-იას და ყველას გასაგონათ გავიძახით: გაუმარჯოს III ინტერნაციონალს!..

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!..

ამასთანავე მოუწოდებთ ამხანაგებს გამოფხიზლებისაკენ და მოვითხოვთ მოეწყოს ესეთი კონფერენციები აფხაზეთის ყველა კუთხეებში და შემდეგ კი დიდი მასშტაბით აფხაზეთის მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა, რაზედაც ხელს ვაწერთ:

1) დიმიტრი ბედიას-ძე შარია 1095 წ.,
2) აქვსენტი დიმიტრის ძე ზუხუბაია 1905 წ.
3) გიორგი ჩაპუას ძე ტორუა 1915 წ.,
4) მოსე პეტრეს ძე კეცბაია 1917 წ.,
5) ანდრო ჯუბლას ძე ჯიქია 1917 წ.,
6) აბაკუმი ბორისის ძე ჩეხერია 1917 წ.,
7) გოიგოლ პეტრეს ძე მიქავა 1917 წ.,
8) ანდრო პეტრეს ძე ჩაკვატულია 1917 წ.,

ჩვენ სრულიათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ კომუნისტურ პარტიას და მის ტაქტიკას აქვს მარქსისტული გამართლება და მისი განვითარების პროცესი კი უმზადებს ნიადაგს მსოფლიო რევოლიუციის დაჩქარებას და კომუნიზმის მსოფლიო დროშის აფრიალებას, ამიტომ სამუდამოთ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიას, როგორც მუშების და გლეხების მოღალატეს თავისი ყოველდღიური მოქმედებით, და ვდგებით კომუნისტურ პარტიის პლატფორმაზე და შეუწყობთ ხელს ყოველ მხრივ საბჭოთა აღმშენებლობას ჩვენი მუშური ენერგიით.

1) გაბ. გ. ფეტიძე 2) ნესტორ კახაძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. ოოფაძე. გ. ვარდოიანი.

ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 1625. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1325. ტირაჟი 1500